შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გაზეთი

# IBSU გაზეთი

*2016 წ. № 4*

IBSU Media Club

# ბაკალავრები პროფესიული განვითარების გზას დაადგნენ

## შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი წელს 250-მა სტუდენტმა დაასრულა

*გვანცა ნადიბაიძე, კესო მამფორია*




კურსდამთავრებულთა რიგით მე-17 გამოსაშვები ცერემონია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში 17 ივნისს გაიმართა. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი წელს 250-მა სტუდენტმა დაამთავრა, მათ შორის საქართველოს მოქალაქეების გარდა 10 სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული სტუდენტებიც იყვნენ.

ცერემონიის დასაწყისში სტუდენტებს რექტორმა ილიას ჩილოღლუმ სიტყვით მიმართა, მან ბაკალავრებს უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრება მიულოცა და კარიერულ გზაზე წინსვლა უსურვა.

ცერემონიის ფარგლებში საუკეთესო მოსწრების, ანუ GPA-ის მქონე სტუდენტებს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ, რის შემდეგაც მათ დამსწრეებს სამადლობელი სიტყვით მიმართეს. რამდენიმე მათგანს „მედიაკლუბი" გაესაუბრა და საკუთარი შთაბეჭდილებები გაუზიარა:

„მოხარული ვარ, რომ თავიდანვე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ჩავაბარე. უნივერსიტეტმა აქ სწავლით ბევრი ცოდნა და გამოცდილება შევიძინე. IBSU რომ არა, ვერ გავივლიდი სტაჟირებას კავკასიურ სახლში, სადაც უკვე ვმუშაობ კიდეც. თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ არა მხოლოდ ვისწავლე, არამედ დავსაქმდი კიდევაც. ბედნიერი ვარ დღევანდელი დღით და მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ლექტორებს, ადმინისტრაციას და მეგობრებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ჩემ განვითარებაში", გვითხრა მარიამ შუმანმა, სოციალურ მეცნიერებების ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების კურსდამთავრებულმა.

„IBSU ჩემი აზრით, საუკეთესო უნივერსიტეტია არამხოლოდ საქართველოში, არამედ - რეგიონში. მართლაც, რომ საუკეთესო ლექტორები მასწავლიდნენ. მივიღე ძალიან დიდი ცოდნა და გამოცდილება არამხოლოდ პროფესიული კუთხით, არამედ ცხოვრებისეულ უნარ-ჩვევებშის თვალსაზრისითაც. ჩვენ მეგობრული დამოკიდებულება გვქონდა, როგორც ლექტორებთან, ასევე ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან", თქვა ანრი მორჩილაძემ, კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და საინჟინრო საქმის ფაკულტეტის კურსდამთავრებული.

წლევანდელი გამოსაშვები ცერემონია წინა წლებისგან განსხვავებული იყო. ფაკულტეტის დეკანებს საშუალება ჰქონდათ თავად დაეჯილდოვებინათ სტუდენტები და მათთან ერთად სამახსოვრო ფოტოები გადაეღოთ. განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა თამარ შიოშვილმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ წლევანდელი კურსდამთავრებულები განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდნენ:

„ზოგადად, ძალიან კარგი და ძლიერი კურსი იყო. ჩვენი სტუდენტები ყოველთვის დიდი შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდნენ, იმიტომ, რომ პროგრამა არის როგორც მულტიდისციპლინარული, ასევე ინტერდისციპლინარული. რა თქმა უნდა, გვაქვს მჭიდრო კავშირი ამერიკის საელჩოსთან, სადაც ამერიკისმცოდნეობის საუკეთესო სტუდენები გადიან ინტერნატურას. დაახლოებით 25-მა სტუდენტმა გაიარა ინტერნატურა აშშ-ს საელჩოში და იქ ძალიან კარგი ავტორიტეტი აქვთ, ვინაიდან უნივერსიტეტში სწავლის დროს საფუძვლიანი ცოდნა მიიღეს აშშ-ს შესახებ. ამასთან ერთად, უნივერსიტეტში სწავლისას საფუძვლიანად დაეუფლნენ ინგლისურ ენას ".

კურსდამთავრებულებისთვის განსკაუთრებულად ემოციური აღმოჩნდა სტუდენტობის ბოლო დღე. როგორც აღმოჩნდა, განვლილმა ოთხმა წელმა მათი ცხოვრება მთლიანად შეცვალა და ცოდნასთან ერთად, ბევრი მეგობარი შესძინა.

„ისე სწრაფად გავიდა ეს ოთხი წელი ვერც კი მოვასწარი გააზრება, რომ მეოთხე კურსის სტუდენტი ვარ. უნივერსიტეტის დასრულება სიხარულთან ერთად მცირე შიშთან და აღელვებასთანაც ასოცირდება, რადგან პროფესიული თვალსაზრისით ახლა ვიწყებთ საზოგადოებაში ინტეგრაციასა და ადგილის დამკვიდრებას. უამრავი ადამიანი გავიცანი და შევიყვარე. როგორც მოგეხსენებათ, საერთაშორისო უნივერსიტეტია და, შესაბამისად, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან გვქონდა ურთიერთობა, რაც, როგორც პიროვნებას, კიდევ უფრო მზრდიდა და ენის ბარიერის დაძლევაშიც მეხმარებოდა. ყველა ჩვენი უნივერსიტეტის ლექტორს, სტუდენტს, მომავალ კურსდამთავრებულს წარმატებას ვუსურვებ. ვუსურვებ, აგრეთვე, ისეთი სიხარული განეცადოთ, რასაც ახლა მე განვიცდი. იმედი მაქვს, ეს უნივერსიტეტში ყოფნის ბოლო დღე არ არის", გვითხრა თამარ ბიწაძემ, სოციალურ მეცნიერებების ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების კურსდამთავრებული.

„4 წლის წინ ჩავაბარე IBSU-ში. აქ ისეთი ოჯახური გარემო დამხვდა, რომ თავი სახლში ვიგრძენი. ძალიან კმაყოფილი ვარ ამ ოთხი წლის განმავლობაში მიღებული განათლებით, შეძენილი მეგობრებით. რაც შეეხება ლექტორებს, მინდა ვთქვა, რომ საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო ლექტორები გავიცანი" , თქვა ზახიდ იბრაგიმოვმა, სოციალურ მეცნიერებების ფაკულტეტის ეკონომიკის მიმართულების კურსდამთავრებულმა.

ცერემონიის დასასრულს საზეიმო ვითარებაში ტორტი გაიჭრა და ღონისძიება ტრადიციულად საბაკალავრო ქუდების ცაში ატყორცნით დასრულდა.



გარდაიცვალა 56 ასაკში შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი (1995-2009) თავმჯდომარე ბატონი მესუთ ბოზქირი. ბატონი მესუდი ამავე დროს საქართველოს მოქალაქეც იყო. მან თურქეთ-საქართველოს მეგობრულ ურთიერთობაში დიდი წვლილი შეიტანა და ორივე ხალხის სიყვარული მოიპოვა.

## გაცვლითი პროგრამები, როგორც გზა პიროვნული ზრდისა და კარიერული წინსვლისკენ


გვ: 5

## აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე IBSU-ში


გვ: 4

## "სტუდენტები ჩემთვის დიდი შენაძენია"


გვ: 4

## თსუ-მ და IBSU-მ ერთობლივი კონფერენცია ჩაატარეს


გვ: 8

## კულტურა, როგორც კომუნიკაცია


გვ: 5

## შოთა არველაძე განათლებაზე, სპორტსა და ქველმოქმედებაზე საუბრობს


გვ: 12

## შეხვედრა ზურაბ აბაშიძესთან



2016 წლის 31 მარტს რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერის სპეციალურმა წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე „საქართველო-რუსეთის ურთიერთობების აქტუალური საკითხები“. თავის სიტყვაში სტუმარმა ისაუბრა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების სხვადასხვა მხარეებზე: აქცენტი გაკეთდა როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ თუ კულტურულ ასპექტებზე.

აღნიშნული შეხვედრა სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინიციატივით გაიმართა და მას, ძირითადად, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სტუდენტები ესწრებოდნენ.

თავისი გამოსვლის შემდეგ ზურაბმა აუდიტორიის კითხვებს უპასუხა. დისკუსია მოწვეულ სტუმარსა და სტუდენტებს შორის გაიმართა ისეთი აქტუალური საკითხების შესახებ, როგორიცაა ქართული დიასპორის საკითხი, ის ფორმატები, რომლის ფარგლებშიც დიპლომატიური ურთიერთობების უქონლობის პირობებში ორი მეზობელი ქვეყნის წარმომადგენლები მოლაპარაკებებს აწარმოებენ სხვადასხვა საკვანძო საკითხების შესახებ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების განვითარება შორეულ პერსპექტივაში და ა.შ.

## „დასაქმება საჯარო სექტორში“



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით საჯარო ლექცია ‘‘დასაქმება საჯარო სექტორში - პრობლემები, შესაძლებლობები, რეფორმები და სპეციფიკა’’ გაიმართა.

საჯარო ლექციაში მონაწილეობა მიიღეს საჯარო სამსახურის ბიუროს; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს; განათლების და მეცნიერების სამინისტროს; სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და იუსტიციის სახლის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტების ხელმძღვანელებმა თუ წარმომადგენლებმა.

საჯარო სექტორში არსებული დასაქმების პოლიტიკის, განხორციელებული რეფორმებისა და სტუდენტებისთვის სახელმწიფო უწყებებში დასაქმების პერსპექტივების თაობაზე მოხსენება გააკეთა საჯარო სამსახურის ბიუროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსმა ირმა მიქაძემ. ასევე, ცალკეული სამინისტროების დასაქმების პოლიტიკასა და სტაჟირების პროგრამებზე ინფორმაცია წარმოადგინეს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტების ხელმძღვანელებმა. შეხვედრა ინტერაქტიული გამოდგა, სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ კონკრეტული ინფორმაცია და რჩევები დასაქმების ბაზარზე არსებულ ტენდენციებზე, რაც სამომავლოდ მათ კარიერულ განვითარებას შეუწყობს ხელს.

# ეკონომიკური კვლევის ცენტრის კონფერენცია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში

*მარიამ ბუღაძე, ანი თეთრუაშვილი*

სტუდენტური კონფერენცია თემაზე: „თურქეთსა და საქართველოს შორის ეკონომიკური ურთიერთობები’’ ჩატარდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში 2016 წლის 27 აპრილს. კონფერენცია უნივერსიტეტში არსებული “ეკონომიკური კვლევის ცენტრის’’ ორგანიზებით გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო შზსუ-ს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების 25-მა სტუდენტმა. კომისიის წევრები იყვნენ უნივერსიტეტის სრული და ასოცირებული პროფესორები ნიკა ჩიტაძე და აზერ დილანჩიევი, აგრეთვე, მოწვეული პირები, ეკონომისტები გიორგი ღაღანიძე და ლევან ჭითანავა,

კონფერენციის მთავარი დანიშნულება სტუდენტებისთვის კვლევითი ჩვევების სწავლება და მათი, როგორც მომავალი მკვლევარების კვალიფიკაციის ამაღლება იყო.

„ კონფერენციისათვის თემების დამუშავებისას სტუდენტებს კვლევითი ჩვევები და დამოუკიდებელი ანალიტიკური უნარ-ჩვევები გამოუმუშავდათ. მიზანს ნამდვილად მივაღწიეთ“ , განაცხადა ჩვენთან საუბრისას შზსუ-ს ეკონომიკური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელმა რომან გოცირიძემ.



კვლევები შეეხო ეკონომიკური ურთიერთობის ყველა სფეროს, დაწყებული ვაჭრობიდან, ინვესტიციებიდან და ტურიზმიდან, დამთავრებული საქართველოს შრომითი მიგრანტების საქმიანობით თურქეთის ტერიტორიაზე. კომისიის ერთ-ერთმა წევრმა, ნიკა ჩიტაძემ ჩვენთან საუბრისას ამ კონფერენციის მნიშვნელობაზე ისაუბრა:

„მიუხედავად იმისა, რომ შზსუ ხშირად ატარებს სტუდენტურ კონფერენციებს და ეს ჩვენთვის სიახლე არაა, მაინც ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან ორგანიზატორი ეკონომიკური კვლევის ცენტრია. 25-მდე სტუდენტს საშუალება ჰქონდათ განეხილათ სხვადასხვა აქტუალური თემები, რომელიც საქართველო თურქეთის ურთიერთობებს ეხება. 2006 წლიდან თურქეთი საქართველოსთვის ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორია. თურქეთზე მოდის საქართველოს საგარეო ვაჭრობის დაახლოებით 13 % იმის გათვალისწინებით, რომ თურქული კომპანიები საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში ერთ-ერთ მსხვილ ინვესტორებს წარმოადგენენ. საქართველოს, როგორც პატარა ქვეყანას, სჭირდება საიმედო მოკავშირე და თურქეთი სწორედ ეს ქვეყანაა, ის გახლდათ ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო 1992 წლის 16 დეკემბერს “.

კონფერენციაზე რამდენიმე გამარჯვებული გამოცხადდა. პირველ ადგილზე გასულ სამ სტუდენტს: მურად მიქელაძეს, ზურაბ დარახველიძესა და პაატა სებისკვერაძეს წიგნების მაღაზია “ბიბლუსის” 100 ლარიანი ვაუჩერები გადაეცათ, მეორე ადგილზე გასულ ხუთ სტუდენტს: ნინო ჯაღმაიძეს, მარიამ მაცაბერიძეს, დიანა ხომერიკს, დიანა მუქაელიანს და აპოლოს დარასელიას კი - 50 ლარიანი ვაუჩერი.

ჟურნალ „ უსინესს თიმე ეორგია’’-ს მთავარმა რედაქტორმა, ლევან ჭითანავამ სპეციალური პრიზი, ორ კაციანი ვაუჩერი რესტორან „ტიფლი ვერანდაში“ ერთ-ერთ გამარჯვებულ, მარაიმ მაცაბერიძეს გადასცა. ასევე, მანვე გამოავლინა ის სამი ავტორი : მურად მიქელაძე, პაატა სებისკვერაძე და მარიამ მაცაბერიძე, რომელთა ნაშრომებიც ჟურნალ „usiness Time Georgia’’-ის ნომერში გამოქვეყნდება.

იმის გასაგებად, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა სტუდენტებისთვის ამ კონფერენციას და რა გამოცდილება მიიღეს რამდენიმე გამარჯვებულს გავესაუბრეთ:

„კონფერენციის შესახებ ერთ-ერთი ორგანიზატორ რომან გოცირიძესგან შევიტყვე. ჩემი თემა სავაჭრო ურთიერთობები იყო. ჩავატარე კვლევები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი სავაჭრო ურთიერთობები აქვს საქართველოსა და თურქეთს ზოგადად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან და შემდეგ უკვე როგორ ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან, შევეხე ციფრულ მაჩვენებელსაც, რა პროდუქტი გადის, რა შემოდის, რა რაოდენობით. ასევე შევეხე ეკონომიკურ ინდიკატორებს. ჩემი ხელმძღვანელი გახლდათ თსუ-ს პროფესორი გიორგი ღაღანიძე, რომელიც მასალების მოძებნასა და კვლევის კითხვების ჩამოყალიბებაში დამეხმარა.

თემაზე მუშაობა კონფერენციამდე თვენახევრით ადრე დავიწყე, რადგან ჩემი თემა საკმაოდ მოცულობითი იყო. ერთი მხრივ ეს პერიოდი ძალიან დამღლელი და შრომატევადი იყო, თუმცა სასიამოვნოდ გასახსენებელია. ეს იყო ჩემი პირველი კონკურსი და ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე, ეს გამოცდილება მომავალში აუცილებლად გამომადგება საბაკალავრო, ან სამაგისტრო ნაშრომის დასაწერად. უკვე მკაფიო წარმოდგენა მაქვს იმის შესახებ, თუ როგორ იწერება სამეცნიერო ნაშრომი და რა უნდა გავითვალისწინო წერისას“, გვითხრა სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ეკონომიკის მიმართულების მეოთხე კურსის სტუდენტმა და ერთ-ერთმა გამარჯვებულა პაატა სებისკვერაძემ.

„ჩემი თემა უშუალოდ თურქეთ - საქართველოს ტურისტულ ურთიერთობებს ეხებოდა. სამწუხაროდ, ძალიან ძნელი იყო ამ მიმართულებით ინფორმაციის მოპოვება, რადგან საქათველოს სტატისტიკის ფარგლებში ბევრი ინფორმაცია არ მოიპოვება. სწორედ ამიტომ საკამოდ დიდი დრო წაიღო ამ თემაზე მუშაობამ, ინფორმაცია და სტატისტიკური მონაცემები გამოვითხოვე სხვადასხვა სამინისტროებისგან - საქართველო ფინანსთა სამინისტროსგან, ეკონომიკის სამინისტროსგან, და ასევე შსს საინფორმაციო დეპარტამენტისგან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისგან.



მსგავს კონფერენციებში მონაწილეობით სტუდენტებუ ღებულობენ გამოცდილებას, თუ როგორ უნდა იმუშაონ აუდიტორიასთან, როგორ ჩაატარონ ეფექტური პრეზენტაცია. კონკრეტულ საკითხებს სიღრმისეულად ეცნობიან და სამეცნიერო კვლევის ტექნოლოგიების ხასიათს ეუფლებიან“, აღნიშნა ჩვენთან საუბრისას სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის - ეკონომიკის მიმართულების მეოთხე კურსის სტუდენტმა და ერთ-ერთმა გამარჯვებულა მურად მიქელაძემ.

კონფერენციის ორგანიზატორების თქმით, მსგავსი კონფერენციები უფრო სისტემატიურ სახეს მიიღებს. მომავალ საკონფერენციო თემის შერჩევაზე ეკონომიკური კვლევის ცენტრი უკვე აქტიურად მუშაობს.

„ცენტრში კვლევების მიმართულებით სტუდენტები მუდმივად იმუშავებენ, ხოლო საუკეთესო ნამუშევრები გამოტანილი იქნება საკონფერენციო ფორმით წელიწადში ერთხელ მაინც, რადგან ეს კონფერენცია არის წარმოჩენა მთელი იმ შრომისა, რომელსაც სტუდენტები მთელი წლის განმავლობაში ეწევიან.

ვფიქრობთ, შემდეგი კონფერენცია ეხებოდეს ჩინეთთს, ანდა დიდი ხუთეულის ეკონომიკას. პარალელურად, რა თქმა უნდა, კვლევები სხვა თემებთან დაკავშირებითაც ჩატარდება და მრავალმხრივი იქნება ჩვენ მხოლოდ რომელიღაც ქვეყანასთან საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობის საკითხებით არ შემოვიფარგლებით“, განაცხადა ეკონომიკური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელმა რომან გოცირიძემ.

სტუდენტები, რომლებმაც საკონფერენციო თემებზე მუშაობის გამოცდილება მიიღეს, მომავალ მონაწილეებს ურჩევენ, რომ მკაფიოდ ჩამოაყალიბონ თავიანთიკვლევის ტექსტი, ინტერნეტ სივრცეში ინფორმაციის ნაკლებობას არ შეუშინდნენ და საჭირო მონაცემები აუცილებლად სამინისტროებიდან გამოითხოვონ.

# სტუდენტური კონფერენციიდან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციამდე

## ჰუმანიტარულმა ფაკულტეტმა 18 ქვეყნიდან ჩამოსულ პროფესორებს უმასპინძლა

*კესო მამფორია*




განათლების, ინგლისური ენის სწავლების, ინგლისური ენისა და ინგლისურენოვანი ლიტერატურის საკითხების კვლევას საკითხზე რიგით მე-6 საერთასორისო კონფერენცია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში 22-23 აპრილს გაიმართა. აღნიშნული კონფერენცია განათლების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით ტარდება და უკვე ტრადიციული სახისაა. კონფერენციის მიზანია ამ დარგის სპეციალისტებს შორის განათლებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და გამოცდილების გაზიარება სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს შორის. კონფერენციის ორგანიზატორების განმარტებით ეს ხელს შეეწყობს მეცნიერებს შორის ურთიერთობას როგორც საქართველოს შიგნით ასევე საერთაშორისო დონეზე.

წლევანდელი კონფერენცია მასშტაბურობით გამოირჩეოდა. მასში მონაწილეობა 18 ქვეყნიდან ჩამოსულმა პროფესორებმა და განათლების სპეციალისტებმა მიიღეს. კონფერენციის ფარგლებში შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს ესტუმრნენ კაიროში, ამერიკული უნივერსიტეტის, უწყვეტი განათლების სკოლის დეკანი და პროფესორი დინ ბარი და ლონდონის უნივერსიტეტის განათლების ინსტიტუტის დოქტორი ჯოანა ვოტერჰაუსი.

კონფერენციაში საქართველოს შვიდი უნივერსიტეტი და რამდენიმე სკოლის მასწავლებლებიც მონაწილეობდნენ. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სახელით კონფერენციაში მონაწილეობა დოქტორანტებმა, ასევე, ბაკალავრიატის სტუდენტებმა და მაგისტრანტებიც მიიღეს.

„ ეს არ იყო სტუდენტური კონფერენცია. თუმცა მიგვაჩნია, რომ ნიჭიერი ბაკალავრები და მაგისტრანტები გვყავს და სწორედ ამიტომ ჩვენი ინიციატივით საერთაშორისო კვლევით კონფერენციამდე, დაახლოებით 1 თვით ადრე , ვატარებთ სტუდენტურ კონფერენციას და სტუდენტებს საშუალებას ვაძლევთ წარადგინონ სავარაუდო თემები. სტუდენტურ კონფერენციაზე გამარჯვებულებს საერთაშორისო კვლევით კონფერენციაში მონაწილეობის საშუალება ეძლევათ“, გვითხრა განათლების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პრორექტორმა ნათელა დოღონაძემ.




“მედია კლუბი” სტუდენტური კონფერენციის გამარჯვებულ გურანდა ხაბეიშვილს გაესაუბრა. „ ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში პირველი კურსიდან ვმონაწილეობ. ეს საშუალებას მაძლევს ვიმუშავო განათლებისა და ინგლისური ენის სწავლების საკითხებში სხვადასხვა აქტუალურ თემებზე. მე-4 სტუდენტურ კონფერენციაში პირველი ადგილი მოვიპოვე და ამის შედეგად მომეცა საშუალება მონაწილეობა მიმეღო მე-6 საერთაშორისო კვლევით კონფერენციაში. ჩემი კვლევითი ნაშრომი ეხებოდა „საქართველოს საჯარო სკოლებში, კრეატიულობის მნიშვნელობას ინგლისური ენის სწავლების პროცესში“. განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი სტუდენტებს გვაძლევს საშუალებას, როგორც ჩვენს უნივერსიტეტში, ასევე საზღვარგარეთის სხვა ცნობილ უნივერსიტეტებში მივიღოთ კვლევით კონფერენციებში მონაწილეობა, რაც დიდ გამოცდილებას გვაძლევს. მსგავსი კონფერენციები სტუდენტებს პრაქტიკული და თეორიული ცოდნის შეძენაში გვეხმარება’’.

გურანდას გარდა, სტუდენტურ კონფერენციას რამდენიმე სხვა გამარჯვებულიც ჰყავდა - ბაკალავრიის ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტები ნეჯეტ ემრე და რაჰმან დემირკოლი მეორე და მესამე ადგილზე გავიდნენ . მაგისტრანტებს შორის კი გამოვლინდა ორი გამარჯვებული - ირმა კაპანაძე და ანი ბროლაძე.

# “ინოვაციები ბიზნესში, განათლებასა და მეცნიერებებში“

## “აბრეშუმის გზის” ტრადიციული კონფერენცია უნივერსიტეტში წელსაც გაიმართა

*გვანცა ნადიბაიძე, მეგი ინწკირველი, სალი მოისწრაფიშვილი*

“ინოვაციები ბიზნესში, განათლებასა და მეცნიერებებში“ - ასე ერქვა „აბრეშუმის გზის“ რიგით მე-11 საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც 20-22 მაისს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში გაიმართა. სამეცნიერო კონფერენცია უნვერსიტეტის ტრადიციული ღონისძიებაა და მიზნად ისახავს გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და აკადემიური სფეროს წარმომადგენლების ფორუმის შექმნას.



კონფერენცია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში გაიხსნა. გახსნის ცერემონიალზე მოწვეული იყო ჩინეთის „ბიზნესისა და ეკონომიკის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ ვიცე-რექტორი ზაო ზონხიუ, რომელმაც ვრცლად ისაუბრა ჩინეთის როლზე საერთაშორისო ეკონომიკაში. მან დადებითად შეაფასა „აბრეშუმის გზის“ კონფერენციის მნიშვნელობა:

„პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ „აბრეშუმის გზის“ კონფერენციას დიდი ისტორია აქვს და ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული ჩვენგანისთვის. ის იძლევა საშუალებას შევისწავლოთ ახალი საკითხები და განვავითაროთ ჩვენი შესაძლებლობები გარკვეული კუთხით. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ „აბრეშუმის გზის“ კონფერენცია აკავშირებს ქვეყნებს ერთმანეთთან. მისი ერთ-ერთი მიზანია პოლიტიკური რეკომენდაციების გაცემა, რაც, ჩემი აზრით, საკმაოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის. წელს პირველად ვარ „აბრეშუმის გზის“ კონფერენციაზე. კარგი იქნება, თუ კონფერენციაში მეტად იქნება ჩართული ჩინეთი. ვიმედოვნებ, რომ მომავალში კიდევ უფრო საინტერესო და დასამახსოვრებელი იქნება, როგორც ჩემი, ასევე სხვების გამოსვლა თითოეული ჩვენგანისთვის“, განაცხადა ზაო ზონხიუმ ჩვენთან საუბრისას.



კონფერენციის ერთ-ერთი მთავარი სტუმარი იყო საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი ნინო ჩიქოვანი, რომლის გამოსვლაც ეხებოდა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველოს პალატის მთავარ ფუნქციებს:

„ეს არის ბიზნესის მთავარი მხარდამჭერი ორგანიზავია, რომლის მიზანია ქვეყნის ეკონომიკის ხელშეწყობა. სავაჭრო-სამრეწველო პალატა ასრულებს ერთ-ერთ წამყვან ფუნქიას მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში, რადგან ჩვენი ორგანიზაცია დამწყებ ბიზნესმენებს სთავაზობს მომსახყრებას, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია და ჭირდება ახალ, მცირე ბიზნესს. მთავარია, რომ ბიზნესმენებმა გამოიყენონ ყველა ის მექანიზმები, პროექტები, ფონდები, რომლებიც მთავრობის მიერაა ინიცირებული. ამასთანავე, უნდა იყვნენ შრომისმოყვარეები და ინტერაქტიულები“, აღნიშნა ნინო ჩიქოვანმა ჩვენთან საუბრისას.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა „აბრეშუმის გზის საკვლევი ინსტიტუტის“ დირექტორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორი ილიას უსტუნიერი, მან დამსწრე საზოგადოებას მოკლედ გააცნო „აბრეშუმის გზის“ კონფერენციის ისტორია და მიზნები:

„ჩვენ ვცდილობთ, რომ ყოველ წელს შევკრიბოთ პროფესორები და გადაწყვეტილების მიმღები პირები და ერთად ვიმსჯელოთ საქართველოსთვისპრობლემურ სხვადასხვა საკიტხზე. ჩვენი წლევანდელი კონფერენციის მიზანიც სწორედ არის. ჩვენ გვაქვს რამდენიმე პლატფორმა, რომლის შესახებაც დღეს ისაუბრებენ მოწვეული სტუმრები. წლევანდელი კონფერენციის თემად ძირითადად ინოვაციური გამოგონებები შევრაჩიეთ, რადგან ეს სფერო ძალიან პოპულარულია და ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვიტარებადი დღევანდელ მსოფლიოში “, განაცხადა ილიას უსტუნიერმა.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ორი დღის განმავლობაში მასპინძლობდა კერძო, საჯარო და საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორც უცხოეთიდან მოწვეულ, ასევე ქართველ პროფესორებს.

„აბრეშუმის გზის“ კონფერენციის განმავლობაში მოწვეული სტუმრები თემატურად დაყოფილნი იყვნენ სხვადასხვა სექციებად, სადაც თემასთან დაკავშირებულ პრეზენტაციებს წარადგენდნენ, როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაზე.

კონფერენციის ერთ-ერთი მონაწილე დოქტორი და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის თანამშრომელი მერაბ მიქელაშვილი გახლდათ, რომელმაც სექციას „ინოვაციები ბიზნესსა და განათლებაში“ გაუწია ორგანიზება. აღნიშნულ სექციაში წარადგინეს პრეზენტაციები ისეთ განსხვავებულ თემებზე, როგორებიცაა: „საქართველოს ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკა და რეგულირების მოდელი“, „სახელმწიფო პოლიტიკის ინოვაციური მიმართულებების განხორციელება საჯარო სკოლებში“, “სწავლა-სწავლების ინფორმაციული ტექნოლოგიები „ციფრული აბორიგენების“ ეპოქაში“, და „ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლების პერსპექტივები საქართველოში“.

„მედიაკლუბი“ გაესაუბრა ტურიზმის ექსპერტს, ლალი მიქელაძეს, რომელსაც პრეზენტაცია ჰქონდა თემაზე, „საქართველოს ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკა და რეგულირების მოდელი“.

„მოგეხსენებათ საქართველოსთვის ძალიან მნიშნელოვანი გახდა ეკონომიკის ამ დარგის განვითარება და რომ არა ეფექტური და რაციონალური სახელმწიფო პოლიტიკა, დარგს ძალიან გაუჭირდება საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანობა შეინარჩუნოს და დაიმკვიდროს სათანადო ადგილი.“

სექციაზე წარდგენილ პრეზენტაციებს დამსწრეთა ჩართულობა და დისკუსია მოჰყვა. შეხვედრის დასრულების შემდეგ კი თითოეულ მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი. სექციის მოდერატორ მერაბ მიქელაშვილის თქმით, მის სექციაზე გამართული დისკუსიები ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი იყო.

„შთამბეჭდავი პრეზენტაციები მოვისმინეთ, განსაკუთრებით დამამახსოვრდა რამდენიმე მათგანი. ძალიან საინტერესო მომსხმენი იყო განათლების სისტემაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული თემა. ამ საკითხთან დაკავშირებითაც ორი პრეზენტაცია მოვისმინეთ, გამოვყოფდი თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან წარმოდგენილ პრეზენტაციას, რომელმაც დაგვანახა, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას საზღვარი არ აქვს და სრულიად ახალი შესაძლებლობები ჩნდება სწავლების შესაძლებლობებისა და მეთოდების დანერგვისა და ჩამოყალიბების საქმეში.“

კონფერენციის ერთ-ერთი სექცია იყო, ასევე, „ კონკურენციის პრობლემები ინოვაციურ ბიზნეს გარემოში“, რომელსაც ექსპერტი და შავი ზღვის უნივერსიტეტის პროფესორ-დოქტორი ქეთევან ლაფაჩი ხელმძღვანელობდა. „მედიაკლუბი“ გაესაუბრა ქეთევან ლაფაჩს, რომელმაც ისაუბრა კონკურენციის პრობლემებზე თანამედროვე ბიზნეს ინოვაციურ გარემოში:

„იქედან გამომდინარე, რომ ჩვენს ქვეყანას კონკურენტული პოლიტიკის განხორციელების სოლიდური პრაქტიკა არ აქვს, ხშირია დარღვევები. ახალშექმნილი სააგენტოები არ არიან სათანადოდ უზრუნველყოფილი კადრებით, ფინანსური რესურსებით, ტექნიკური უნარებით, რომ წინ აღუდგნენ ყველა ტიპის ანტიკონკურენტულ ქმედებას. ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია ჩართულობა, რათა გაუმჯობესდეს კანონმდებლობა, შეიქმნას კანონის აღსრულების მექანიზმები, რომელიც ნებისმიერ კეთილსინდისიერ ბიზნესს მისცემს ბაზარზე შესვლის, დამკვიდრების, ბიზნესის დაუბრკოლებლად წარმოების საშუალებას. სწორედ ამიტომ არის დღეს ეს სექცია მნიშვნელოვანი. აქ მონაწილეობენ როგორც ეკონომისტები, ასევე სამართლის სპეციალისტები, რომლებიც ამ სფეროში ცდილობენ სრულყონ კონკურენციის კანონი, მისი აღსრულების მექანიზმები და ზოგადადკონკურენციის პოლიტიკა საქართველოში“, გვითხრა ქეთევან ლაფაჩმა.

კონფერენციაზე განხილული იყო, ასევე, ინოვაციური გამოგონებები მარკეტინგის სფეროში. ერთ-ერთმა გამომსვლელმა და შავი ზღვის უნივერსიტეტის თანამშრომელმა, ანა ასათიანმა ისაუბრა მარკეტინგის ახალ სფეროზე - ნეირომარკეტინგზე, რომელიც ახალი შეთავაზებაა როგორც საქართველოსთვის, ასევე - მსოფლიოსთვის.

„წლების განმავლობაში ვიყენებდით რეკლამის სხვადასხვა ტიპებს. რეკლამა არის ერთგვარი გაყიდვების საშუალება, მაგრამ ზუსტად არ ვართ დარწმუნებული, რამდენად სწორად ვაკეთებთ ამ ყველაფერს. ადრე იყენებდნენ მარკეტინგულ კვლევებს, რომელიც ახლაც ძალიან აქტუალურია, მაგრამ დღეს შეგვიძლია დავეყრდნოთ ახალ სფეროს, რომელსაც ჰქვია ნეირომარკეტინგი. ეს არის ახალი სიტყვა მარკეტინგში და ნეირომარკეტინგის საშუალებით შეგვიძლია გავაკეთოთ ახალი კვლევები. ნეირმოარკეტინგის აპარატი არსებობს. ეს არის მაგნიტურ-რეზონანსული აპარატი, რომელიც იკვლევს ინსტიქტებს, ემოციებს. ამიტომ ზუსტად ვიცით, რა უნდა მომხმარებელს და რით შეგვიძლია ვასიამოვნოთ მას“ ,აღნიშნა უნივერსიტეტის გაზეთთან საუბრისას ანა ასათიანმა.



სამდღიან კონფერენციაში მონაწილეობა მსოფლიოს 19 ქვეყნის წარმომადგენელმა მიიღო, სამდღიან ღონისძიებაზე 93 სამეცნიერო ნაშრომი 145 მომხსენებელმა წარადგინა.

## კურსდამთავრებულის ვიზიტი



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის ფაკულტეტმა Alumni Homecoming პროექტის ფარგლებში IBSU-ს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულს, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის შესყიდვებისა და ლოჯისტიკის კოორდინატორს საქართველოში - ანა შახნაზაროვას უმასპინძლა.

სემინარის თემა იყო: ”საქმიან ურთიერთობებში საკუთარი თავის წარდგენა და ნდობის მოპოვება“

სემინარს დაესწრნენ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი ჰალილ გუვენი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის ფაკულტეტის ადმინისტრაცია და პირველი და მეორე კურსის სტუდენტები.

## საერთაშორისო ცენტრ CIPE-ს ვიზიტი IBSU-ში



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის ფაკულტეტმა ორგანიზაცია CIPE – Center of International Private Enterprise-ს წარმომადგენლებს - ნატალია ოტელ ბელანსა და ბობბი ჯო თრაუთს უმასპინძლა.

CIPE-ის მთავარი მიზანია კერძო სექტორის განვითარებისა და ბაზარზე ორიენტირებული რეფორმების გატარების გზით, მსოფლიო მასშტაბით, დემოკრატიის ზრდას შეუწყოს ხელი. შეხვედრაზე განხილულ იქნა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და CIPE-ს შორის თანამშრომლობის პერსპექტივა მეწარმეობისათვის საჭირო ეკოსისტემის განვითარებისთვის.

## ”ბიზნეს ეთიკის როლი თანამედროვე მსოფლიოში”




შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის ორგანიზებით ALLIANCE GROUP HOLDING-ის გენერალურმა დირექტორმა აიეტ კუკავამ საჯარო ლექცია წაიკითა თემაზე: .”ბიზნეს ეთიკის როლი თანამედროვე მსოფლიოში”

გვაქვს პატივი გაცნობოთ, რომ ბიზნესის მართვის ფაკულტეტი უმასპინძლებს სს ალიანს ჯგუფ ჰოლდინგის აღმასრულებელ დირექტორს, ბატონ აიეტ კუკავას. ბატონი აიეტი ჩაატარებს საჯარო ლექციას თემაზე “ბიზნეს ეთიკის როლი თანამედროვე ბიზნეს სამყაროში სს ალიანს ჯგუფ ჰოლდინგის მაგალითზე.

განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

## სტუმარი კალიფორნიის უნივერსიტეტიდან



ჯონ სტაინბეკის შემოქმედების მკვლევარი, კალიფორნიაში სტაინბეკის ცენტრის დირექტორი, სან ხოსეს უნივერსიტეტის პროფესორი დოქტ. სიუზან შილინგლოუ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის სტუდენტებსა და პროფესორებს შეხვდა. სტუმარმა ამერიკელი მწერლისა და ნობელის პრემიის ლაურიატის ლიტერატურის დარგში ჯონ სტეინბეკის შემოქმედების შესახებ ინტერაქტიული ლექცია ჩაატარა: ''მოგზაურობა სტაინბეკის კალიფორნიაში და სტაინბეკი საქართველოში“

ქართველი მკითხველი ჯონ სტაინბეკს ცნობილი ნოველით ''თაგვებსა და ადამიანებზე“ და პულიცერის პრემიით დაჯილდოებული რომანით ''მრისხანების მტევნებით“ იცნობს.

## FBI-ს ატაშის ასისტენტის სტუმრობა



ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ მოწვეული ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიუროს ატაშეს ასისტენტი სამართლის საკითხებში მარლენ ბენსონი ამერიკისმცოდნეობის დეპარტამენტის სტუდენტებს ესტუმრა.

სტუმარსა და სტუდენტებს შორის საინტერესო დისკუსია გაიმართა კარიერის არჩევასთან დაკავშირებით.

განსაკუთრებული დაინტერესება სტუდენტებში გამოიწვია იმან, თუ რამ განაპირობა მარლენ ბენსონის, როგორც ქალის, გადაწყვეტილება აერჩია ასეთი საპასუხისმგებლო და საფრთხის შემცველი პროფესია. დისკუსიის შემდეგ სტუმარი მიიღო უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. დოქტ. ილიას ჩილოღლუმ და ესაუბრა უნივერსიტეტის მისიის და სტრუქტურის შესახებ.

## აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე IBSU-ში



ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის მოადგილე დას ზიფი შზსუს ამერიკისმცოდნეობის პროგრამის სტუდენტებს შეხვდა. სტუმრმა დადებითად შეაფასა საქართველოში ინგლისურენოვანი ამერიკისმცოდნეობის პროგრამის არსებობა. მისი თქმით, აღნიშნული მულტიდისციპლინარული და ამავდროულად ინტერდისციპლინარული პროგრამა იძლევა კარგ შესაძლებლობას სტუდენტები წარმატებით დასაქმდნენ სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და უცხოურ კომპანიებში.

## სოზარ სუბარი: „თქვენთან, სტუდენტებთან, ემოციური კავშირი ჩამომიყალიბდა, ეს ჩემთვის ყველაზე დიდი შენაძენია“

*ლელუკა გულბანი, ნინი ღაჭონია*



შემოთავაზებას, რომ ლექციები წაეკითხა მომავალი ჟურნალისტებისათვის, რთულად დათანხმდა. თუმცა, მოლაპარაკება შედგა და საქართველოს დევნილთა და განსახლების მინისტრი, ყოფილი სახალხო დამცველი, მანამდე კი, ჟურნალისტი და ადამიანის უფლებათა დამცველი, სოზარ სუბარი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში 2016 წლის გაზაფხულის სემესტრში გაუძღვა კურსს “მედია და ადამიანის უფლებები”. ჩვენ, სტუდენტებმა ბევრი სასარგებლო რამ გავიგეთ - რა არის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ის პრეცენდენტები, რომლებიც გამოხატვის თავისუფლებას განმარტავს და აზუსტებს; განათლების, წამებისაგან დაცულობის, უსაფრთხო გარემოში ცხოვრების და სხვა არაერთი უფლების დაცვა ჟურნალისტებისა და მედიის ერთ-ერთი უმთავრესი ფუქციაა. სტუდენტები ძალიან კმაყოფილები დავრჩით, თუმცა, რა შთაბეჭდილებები დარჩა სოზარ სუბარს?

ამ კითხვაზე სუბარმა ასე გვიპასუხა: „ ჩავთვალე, რომ ჟურნალისტებისათვის ეს საგანი არამხოლოდ საინტერესო, არამედ საჭირო და სასარგებლო იქნებოდა. მაქვს გამოცდილება ამ სფეროში და ვიცი, რა ადამიანის უფლებების გაშუქებისას რა ძირითადი მომენტები უნდა გაითვალისწინონ ჟურნალისტებმა“. ლექტორის როლი შესანიშნავად მოირგო და. როგორც ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, თავს ძალიან კარგად გრძნობს ამ გარემოში. ყველაზე დიდ გამოცდილებად კი, სტუდენტებთან ურთიერთობას მიიჩნევს: „რაც არ უნდა კარგი იყოს ბუნება, ადამიანის გარეშე მაინც ვერ იქნება ლამაზი“.

სუბარის თქმით, სტუდენტებისგან უკუკავშირს მუდმივად გრძნობდა და ზუსტად იცოდა, რომ სასწავლო პროცესი ორმხრივი იყო, ჩართულობა შედგა. „ვერ წავიკითხავ ლექციას იქ, სადაც არ მისმენენ, ამ მხრივ ძალიან კომფორტული გარემო შემექმნა, თქვენგან ძლიერ უკუკავშირს ვგრძნობდი“. მეცადინეობები ინტერაქტიული იყო და, როგორც თავად ამბობს, სურდა სტუდენტებს ადამიანის უფლებების სულისკვეთება შეეგრძნოთ.

ბიოგრაფიის მოკლედ მოყოლა რომ ვთხოვეთ, გაიღიმა, ეგ რთული საქმეაო. ამბობს, რომ სულ მუშაობდა, ბავშვობიდანაც კი. იყო პერიოდი, როცა ფოტოგრაფიამ გაიტაცა: „ვიდექი ბნელ ოთახში და წითელ შუქზე ვამჟღავნებდი სურათებს“. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ისტორიის ფაკულტეტი, ეთნოგრაფიის სპეციალობით. პირველი ოფიციალური სამსახური საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში იყო. არქეოლოგიური კვლევის ცენტრში მუშაობისას, პარალელურად ზურაბ ჟვანიასთან ერთად დაიწყო გამოსვლები ხუდონჰესის წინააღმდეგ. შემდეგ დავით გარეჯის მონასტერში მედავითნე გახდა და ერთი წლის განმავლობაში საეკლესიო ცხოვრებას მისდევდა: „ათეიზმში ვიზრდებოდი და რწმენა სრულიად შეგნებულად მოვიდა, ეკლესური გავხდი “.

1979 წელს ქართული ენის სტატუსთან დაკავშირებით დაწყებულმა გამოსვლებმა მასზე დიდი ზემოქმედება მოახდინა. სწორედ ამ ექომ დააწყებინა ფიქრი საქართველოს დამოუკიდებლობაზე. 1989 წლის 9 აპრილს თანამოქალაქეებთან ერთად იდგა, აფხაზეთის ომის დროს კი, თავადაც იარაღით იბრძოდა: „მოვიტყუეთ, ვითომ, გამნაღმველები ვიყავით, სინამდვილეში, კი ნაღმი თვალითაც არ გვენახა“, ასე იხსენებს საკუთარი საომარი წარსულის ერთ-ერთ ეპიზოდს.

დმანისში სკოლის დირექტორი იყო და პარალელურად კვლავ აგრძელებდა მედავითნეობას. შემდეგ სასულიერო აკადემიაში სწავლობდა, სადიპლომო ბიბლიის თარგმნის პრინციპებზე და ბიბლიისავე პირველ თარგმანზე გააკეთა, რომელიც სეპტუაგინტას სახელითაა ცნობილი.

თუმცა აქედანვე იწყება ახალი ეტაპი, როცა აღმოაჩინა, რომ თვითონ სხვაგან იყო, ირგვლივ კი ადამიანები თითქოს სხვა სამყაროში ცხოვრობდნენ: „მოულოდნელად აღმოვაჩინე, რომ საერო ცხოვრებას მოვწყდი, ერთსა და იმავე საკითხს სრულიად სხვადასხვა პერსპექტივიდან ვუყურებდით ისინი, ვინც ეკლესიაში ვიყავით და ვინც ერში იყვნენ. თითქოს ორ სხვადასხვა, პარალელურ და ერთმანეთისგან გაუცხოებულ სამყაროში ვცხოვრობდით. ამავე დროს, დაფინანსება მივიღე გერმანიის ერთ-ერთ უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად. სანამ წავიდოდი, გადავწყვიტე, დროებით ერში დავბრუნებულიყავი. ასე აღმოვჩნდი ჟურნალისტიკაში, სადაც დავრჩი კიდეც. აღარც გერმანია და აღარც სწავლის გაგრძელება.”

გაზეთ „კავკასიონში“ კრიმინალურ საკითხებს აშუქებდა და მისთვის მნიშვნელოვანი გახდა ადამიანის უფლებები: „ჟურნალისტიკაში რამდენიმეწლიანი მუშაობის შემდეგ მხოლოდ რეპორტიორული საქმიანობა აღარ მაკმაყოფილებდა და გულმა ადამიანის უფლებების დაცვისკენ გამიწია “. ამის გამო “ავტომატურად” გადაინაცვლა სამოქალაქო სექტორში. 1999 წელს პირველად წარადგინეს ომბუდსმენის პოზიციაზე, თუმცა სახალხო დამცველი 2004 წელს გახდა: „დაიწყო ის ხუთი წელი, რომელიც რთული და მძიმე, მაგრამ ძალიან საპატიო და საინტერესო აღმოჩნდა“.

კარიერის ამ ეტაპზე პოლიტიკაში და სახელმწიფო სამსახურში გადაინაცვლა: „როცა გინდა ადამიანის უფლებების დაცვა, ყველაზე მოკლე და პირდაპირი გზა პოლიტიკაზე გადის“. ჯერ იყო სასჯელაღსრულების, დღეს კი - დევნილთა და განსახლების მინისტრია.

ოჯახზე საუბრისას განსაკუთრებულ აქცენტს მეუღლეზე, თამთა ყუბანეიშვილზე აკეთებს: „ძალიან ბევრს სიმძიმეს ვერ გავუძლებდი, თამთა რომ გვერდით არ მყოლოდა“. ჰყავს სამი შვილი და მისი თქმით, ოჯახი ყველაფერია. იგონებს მამას და სიამაყით ამბობს, რომ ის დღემდე არის “ავთოს შვილი”: „ეს არის ყველაზე კარგი, რაც მამამ დამიტოვა“. სურს, რომ საკუთარ შვილებსაც იგივე განცდა დარჩეთ.

რა არის განათლება?! ამ კითხვაზე ერთი სიტყვით გვიპასუხა: „ეს ცხოვრებაა“. სტუდენტებს ურჩევს, ბევრი იკითხონ და სურს, მათთან ურთიერთობები ბოლომდე გაჰყვეს. გვპირდება რომ 2017 წლის გაზაფხულის სემეტრში კვლავ დაუბრუნდება პედაგოგიურ საქმიანობას და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებს მაქსიმალურად გაუზიარებს საკუთარ გამოცდილებას.

## ლევან კალანდაძე: „სტუდენტებთან ურთიერთობამ მოსმენა მასწავლა“

*ლელუკა გულბანი, ნინი ღაჭონია*



ლევან კალანდაძე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორია. როგორც თავად აღნიშნა, შემოთავაზება აკადემიური ხელმღვანელობიდან და რექტორისგან მიიღო. „უნდა წამეკითხა ფინანსები ორი განხრით: ინდივიდუალური ფინანსების დაგეგმვა და საჯარო ფინანსების მართვა“. დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, პედაგოგიურ საქმიანობაში ხალისით ჩაერთო. სტუდენტებთან ურთიერთობთ, როგორც თავად ამბობს, დიდ სიამოვნებას ღებულობს : „მე მიყვარს მათთან ურთიერთობა. წმინდა პრაგმატული თვალსაზრისით სწორედ ეს მაიძულებს მუდმივად ფორმაში ყოფნას“.

ლევან კალანდაძემ ყურადღება გაამახვილა თავისი საგნის სირთულეზე , თუმცა განმარტა, რომ მაქსიმალურად ცდილობს სტუდენტების დაინტერესებას: „არ მინდა მხოლოდ თეორია ვასწავლო, ვცდილობ ჩემი ლექცები უფრო პრაქტიკული გახდეს“. მისი თქმით, ერთი შეხედვით უინტერესო საგანი , სინამდვილეში ძალზედ საინტერესოა, რადგან სახელმწიფოს მართვა სწორედ რაციონალურ ფინანსურ გადაწყვეტილებებზეა დაფუძნებული: „ჩემი მიზანია, სტუდენტებმა ზუსტად იცოდნენ ფინანსების დაგეგმვა. სტუდენტებით კმაყოფილია: „ისინი თავისთავად ძალიან ნიჭიერები და მიზანდასახულები არიან“.

თუმცა ლევან კალანდაძე სტუდენტებისგან მუდმივად მეტს და მეტს ითხოვს. არ სურს, რომ ყოფითი პრობლემების გამო სწავლის ხარისხი გაიუარესონ. „ ბევრი სტუდენტი მუშაობს, რის გამოც სწავლის პროცესი შეიძლება გაურთულდეს. ვფიქრობ ეს ყველაფერი ყოფითი პრობლემებმა და ოჯახების ფინანსურმა არასტაბილურობამ მოიტანა“, აღნიშნავს ლევან კალანდაძე.

რა შემძინა პედაგოგიურმა გამოცდილებამ?! „პირველ რიგში ადამიანების მოსმენა მასწავლა“. არ არის მთავარი მხოლოდ ლექტორს უსმინონ. ორმხრივი მოსმენა და გაგება უფრო პოზიტიურ შედეგს გამოიღებს. შზსუ-ში სამი წელია ასწავლის და მთავარ გამოცდილებად მაინც ურთიერთობებს მიიჩნევს: „მხოლოდ სტუდენტები არ სწავლობენ ჩემგან, მეც ვიღებ სარგებელს სტუდენტებისგან“.

ჩვენი რესპონდენტის პროფესიული ბიოგრაფია მრავალფეროვანია. გზა არასამთავრობო სექტორიდან სახელმწიფო სტრუქტურებამდე. იყო პრეზიდენტის მრჩეველი სოციალური რეფორმების საკითხებში, საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ინფრასტრუქტურული პროექტების ინიციატივის“ ხელმძღვანელი. ბოლო პერიოდში ძირითადად ბიზნესის განვითარების პროექტებზე მუშაობდა. არის საქართველოს ბიზნეს პალატის დამფუძნებელი და მმართველი საბჭოს წევრი. „ვცდილობ ვიყო სოციალურად აქტიური პირი“, განაცხადა ლევან კალანდაძემ. კარიერის მიუხედავად, მისთვის ოჯახი უპირველესია. ჰყავს სამი შვილი და ერთი შვილიშვილი. მისი თქმით, შვილები აძლევენ ყველაზე დიდ სტიმულს, რომ არასდროს გაჩერდეს: „ოჯახი ჩემთვის ყველაფერია. შვილების გულისთვის ვიმოძრავებ კიდეც, მთებსაც გადავდგამ და ზღვებსაც გადავცურავ“.

მან დღევანდელი ეპოქის შესაძლებლობებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მთავარი ძიება გახლავთ: „დღეს ინფორმაცია ღიაა და ხელმისაწვდომია, მოძებნეთ ის, რაც არის პრაქტიკული და გააკეთეთ სწორი აქცენტები“.

ლევან კალანდაძე სტუდენტებს სწორედ ცოდნისა და გამოცდილების ძიებას ურჩევს, რითაც შეიძენენ სარგებლის მომტან პროფეიულ უნარებს. „ეს ქვეყანა ვერ განვითარდება, თუკი სტუდენტები და ახალგაზრდები არ გნვითარდებიან“.

მისი თქმით, განათლება ყველაზე დიდი კაპიტალია და ეს არის თაობა, რომელმაც ჩვენი ქვეყანა უნდა გადაარჩინოს. ცდილობს დევიზებით არ იცხოვროს, თუმცა ბოლოს ერთ რჩევას გვაძლევს: „ბევრი სირთულისა და ბარიერის მიუხედავად, არ შეწყვიტოთ ზრდა და წინსვლა “.

# კულტურა, როგორც კომუნიკაცია

*თამარ გეგენავა, ანი ნავდარაშვილი, მინდია გაბაძე*



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში 24 მაისს რიგით მე-3 კულტურული ფესტივალი გაიმართა, რომელსაც საფუძველი 2014 წელს ჩაეყარა და მას შემდეგ ყოველწლიურად ტარდება.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში 20 სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტი სწავლობს. მათ შორის არიან საქართველოს, თურქეთის, აზერბაიჯანის, ნიგერიის, სომხეთის, კამერუნის, ავღანეთის, ეგვიპტის, საბერძნეთის, უკრაინის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. ფესტივალის ფარგლებში მონაწილეებმა საკუთარი ქვეყნის ტრადიციული სამოსი, ღირშესანიშნაობები, ფოლკლორული ნაწარმოებები და ნაციონალური კერძები წარმოადგინეს.

თითოეული ქვეყნის სტენდთან შეხვდებოდით უამრავ ადამიანს, რომლებიც ცდილობდნენ, უკეთ გაცნობოდნენ ამა თუ იმ ქვეყნის ღირშესანიშნაობებს, სტენდებთან კი დამთვალიერებლებს მასპინძლობდნენ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებიც ამავე დროს, ღონისძიების მოხალისეები იყვნენ. როგორც ფესტივალის სტუმრებმა აღნიშნეს, მათთვის განსაკუთრებით საინტერესო სხვადასხვა ქვეყნის ნაციონალური სამოსის დათვალიერება და კერძების დაგემოვნება იყო. უკრაინულმა სტენდმა ღონისძიება გაამრავალფეროვნა, მოხალისეები დამთვალიერებელს უკრაინული კულტურის გაცნობის შემდეგ, თავისივე ხელით ყვავილების გვირგვინებს უმზადებდნენ. ნიგერიის სტენდთან სტუმრები აგემოვნებდნენ ამავე ქვეყნის წარმომადგენლების მიერ მომზადებულ კერძებს. თურქულ სტენდთანაც შეხვდებოდით უამრავ ადამიანს, რომლებიც აღტაცებით ათვალიერებდნენ სუვენირებს. სომხეთის სტენდთან ფოლკლორის ზეიმი გაიმართა, სწორედ ამიტომ მის გარშემო ბევრმა სტუმარმა მოიყარა თავი . ეგვიპტის სტენდი ყურადღებას იქცევდა აქტიური მოხალისეებით. მოხალისეები ყველანაირად ცდილობდნენ, რომ დამთვალიერებელს თავი მათი კულტურის ნაწილად ეგრძნო.

„ბედნიერი ვარ რომ ამ ფესტივალს ვესწრები. ეს საუკეთესო საშუალებაა, რომ ერთმანეთის კულტურას გავეცნოთ. მე ეგვიპტის წარმომადგენელი ვარ და ყველანაირად ვცდილობ, ხალხს ეგვიპტური კულტურა გავაცნო", გვითხრა, ეგვიპტელმა სტუდენტმა სტეფანო აშრაფმა.

კულტურის ფესტივალის სტუმრებს სტენდების დათვალიერებასთან ერთად შეეძლოთ მონაწილეობის მიღება სახალისო თამაშებში, რომელიც კალათბურთის მოედანზე გაიმართა.გამარჯვებულები კი, სხვადასხვა პრიზებით დაჯილოვდნენ. აგრეთვე, წარმოდგენილი იყო შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტების : მაქსიმე ბაქრაძისა და მინდია გაბაძის ფოტოგამოფენა. კულტურის ფესტივალის ფარგლებში გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილებას იღებდნენ, როგორც უნივერსიტეტის სუდენტები, აგრეთვე - მოწვეული მომღერლებიც.

კულტურის ფესტივალის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სტუდენტების დაახლოება და ერთმანეთის კულტურის უკეთ გაცნობაა. „უკვე მესამე წელია, რაც შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი კულტურის ფესტივალს ატარებს. როგორც იცით, ჩვენთან 20 ქვეყნის წარმომადგენელი სწავლობს და ვცდილობთ, რომ სტუდენტებს ერთმანეთის კულტურა გავაცნოთ. კულტურის ფესტივალი კი ამისთვის საუკეთესო საშუალებაა. უკვე მესამე წელია ტრადიციას არ ვარღვევთ და ამ ფესტივალს ვმასპინძლობთ - ერთ-ერთი ორგანიზატორი დავით ვერძაძე.



# გაცვლითი პროგრამები, როგორც გზა პიროვნული ზრდისა და კარიერული წინსვლისკენ

*სოფო ფერაძე, თაკო მაჭმუდოვი*

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის არაერთი სტუდენტი ევროპისა და აშშ-ს უნივერსიტეტებში გაცვლითი პროგრამით გაემგზავრა. უნივერსიტეტის ხუთი ფაკულტეტიდან ყველაზე მეტი სტუდენტი სოციალურ მეცნიერებათა და ბიზნესის ფაკულტეტებიდან გააგზავნეს.

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის გაცვლითი პროგრამების ხელმძღვანელის თაკო ქარაზანიშვილის თქმით, 2016 წლის გაზაფხულის სემესტრში საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში გამგაზვრების მოთხოვნა 227-მა სტუდენტმა შემოიტანა. აქედან ფაკულტეტმა 27 სტუდენტი შეარჩია. საბოლოოდ ფაკულტეტემა მხოლოდ გაზაფხულის სემეტრში 29 სტუდენტი გაუშვა საზღვარგარეთ სასწავლებლად. მათ შორის ორი თურქეთის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული უმაღლესი განათლების სპეციალური "მევლანას" პროგრამით გაემგზვრა.

გაცვლით პროგრამებში მოსახვედრად სტუდენტმა უნდა დააკმაყოფილოს სხვადასხვა კრიტერიუმი - პირველ რიგში მნიშვნელოვანია მაღალი აკადემიური მოსწრება, მარტივად რომ ვთქვათ, სტუდენტს ყველა საგანში მაღალი შეფასება უნდა ჰქონდეს და, შესაბამიად მისი GPA მაღალი უნდა იყოს. სასურველია, რომ საზღვარგარეთ წასვლის კანდიდატ სტუდენტს უნივერსიტეტის სხვადასხვა სოციალური პროექტში მონაწილეობის გამოცდილებაც ჰქონდეს. ბუნებრივია, რომ საზღ-




ვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების ენა ინგლისურია, სწორედ ამიტომ აუცილებელია პროფესიული ინგლისურის მაღალი დონე, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი სერტიფიკატით.

გაცვლითი პროგრამებში მონაწილეობა სტუდენტისათვის უაღრესად პროდუქტიულია. მათ უხდებათ დამოუკიდებლად ცხოვრება, ენობრივი ბარიერის დაძლევა, რაც საბოლოოდ დადებითად ისახება მათ კარიერულ და პიროვნულ ზრდაზე.

გაცვლითი პროგრამების კუთხით სოციალურ-მეცნიერებათა ფაკულტეტს სამომავლოდ მნიშვნელოვანი გეგმები აქვს, ისინი აწარმოებენ მოლაპარაკებებს სხვადასხვა პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ასევე სამომავლოდ ელოდებიან სტიპენდიების მიღებას პარტნიორი უნივერსიტეტებისგან. დასახული ამოცანები თუ შესრულდა, შზსუ-ს კიდევ უფრო მეტ სტუდენტს მიეცემა გაცვლითი პროგრამებით სარგებლობის შანსი.

სტუდენეტები, რომლებმაც უკვე ისარგებლეს გაცვლითი პროგრამებით აღნიშნავენ, რომ მათი მთავარი მიზანი იყო ჩაებარებინათ ისეთ უნივერსიტეტში, რომელიც ეფექტიანი ცოდნას მისცემდა მათ და, რაც მთავარია, ექნებოდათ შანსი აქტიურად მიეღოთ მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში. ამ კრიტერიუმებს კი IBSU სრულიად აკმაყოფილებს.

ჩვენ დავუკავშირდით შზსუ-ს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ერთ-ერთ სტუდენტს რამილ ასკაროვს, რომელიც გაცვლით პროგრამებში მონაწილე წარმატებულ სტუდენტთა შორისაა.

„IBSU მსოფლიოს კარს გაგიხსნისო"- ჩემი მეგობრის ნათქვამმა ამ სიტყვებმა გადამაწყვეტინა ჩაბარება, შედეგმაც არ დააყოვნა და უნივერსიტეტმა მომცა შესაძლებლობა ერთი სემესტრის განმავლობაში სრულიად უფასოდ მესწავლა პორტუგალიის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში - ბრაგანკას პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში. აქ სწავლის დონე საკმაოდ მაღალია, აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ IBSU არაფრით ჩამორჩება ამ უნივერსიტეტს. ამ გადმოსახედიდან შემიძლია ვთქვა, რომ ადამიანის შესაძლებლობებს საზღვარი არ აქვს. მათ, ვისაც სურს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა, ვურჩევდი დაიხარჯონ ბოლომდე და არასოდეს დაიხიონ უკან. მინდა მადლობა გადავუხადო შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს ჩემი მხარდაჭერისა და გვერდში დგომისთვის".

ლიკა ილინი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი:

"აბიტურიენტობისას ჩემი სურვილი იყო ისეთ უნივერსიტეტში ჩამებარებინა, სადაც საფუძვლიანი ცოდნის მიღებას შევძლებდი, რაც სამომავლოდ კარიერული განვითარების წინაპირობა იქნებოდა. არჩევანი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტზე სწორედ ამის გამო შევაჩერე. ჩემ გარშემო მყოფი ბევრი ადამიანისგან გამიგია, რომ IBSU-ს კურსდამთავრებულები კონკურენტუნარიანობითა და მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევიან.



ჩაბარების შემდეგ გაცვლითი პროგრამებით დავინტერესდი. მაქსიმალურად ყველა საგანში უმაღლესი ქულა მიმეღო და ყოველწელს უმაღლესი GPA მქონდა. ამის გარეშე გაცვლითი პროგრამების კონკურსში მონაწილეობას ვერ მივიღებდი. საბოლოოდ ჩემი მონდომება დაფასდა და ახლა სწავლას პოლონეთში, ვისტულას უნივერსიტეტში ვაგრძელებ, სადაც ერთი სემესტრის განმავლობაში დავრჩები".

ვისტულას უნივერსიტეტი ვარშავის საუკეთესო კერძო უნივერსიტეტების ხუთეულში შედის და პრესტიჟულობითა და სწავლის მაღალი დონით გამოირჩევა გამოირჩევა. ეს უნივერსიტეტი 30-მდე ქვეყნის სტუდენტს საშუალებას აძლევს მიიღოს ევროპული დონის განათლება, აგრეთვე, სტუნეტებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს და მათთან ერთად ჩაერთონ სოციალურ აქტივობებში, რაც ხელს უწყობს პირვონულ განვითარებასა და ცოდნის გაღრმავებას.

ლიკა ილინი: "ლექციებსა და სემინარებზე ყოველ დღე დავდივარ. სხვადასხვა საკითხზე საინტერესო დისკუსიები გვაქვს, ყოველდღიურად ვეცნობით და ვაფასებთ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, რაც ყველა სტუნდენტისთვის ძალიან საინტერესოა. სწავლა ვისტულაში საკმაოდ რთულია. სასწავლო გეგმას რომ არ ჩამოვრჩე, აუცილებელია, ყოველდღე აქტიურად ჩართული ვიყოთ სასწავლო პროცესში.

გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა ჩემთვის პირველ რიგში დიდი პასუხისმგებლობა და გამოწვევაა. ვფიქრობ, აქ გატარებულ თითოეულ დღეს დადებითი გავლენა ექნება ჩემ პიროვნულ განვითარებასა და სამომავლო კარიერაზე. სასიამოვნოა იმის გააზრება, რომ შრომა დაგიფასეს, რამაც უფრო მოტივირებული გამხადა და ამისთვის, რა თქმა უნდა, დიდი მადლობა IBSU-ს.

თამარ ასამბიანი, საერთაშორისო ურთიერთობების მესამე კურსის სტუდენტი:

"პრაღა ყოველთვის იყო ჩემი ოცნება და როცა გავიგე, რომ შანსი მქონდა ერთი სემესტრი საოცნებო ქალაქში, სასურველ უნივერსიტეტში გამეტაერბინა. რა თქმა უნდა, მიზნის შესასრულებლად ძალები არ დავიშურე. დღეს უკვე ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა საუკეთესოთა შორის. პირველი ლექციის შემდეგ მივხვდი იმას, რომ ჩემთვის აქ უცხო არაფერია. სწავლის მეთოდები და სტრუქტურა ძალიან გავს IBSU-სას; სამ საათიანი ლექციები, სემინარები, დებატები, პრეზენტაციები, შუალედურები და ბოლოს ფინალურები ნამდვილად არ მაკვირვებს,



რადგან ჩვენთანაც გვანებივრებენ მსგავსი სტრუქტურით. დარწმუნებული ვარ აქ გატარებული დრო ჩემთვის ძალიან დიდი გამოცდილებაა და, რა თქმა უნდა, ჩემს მომავალ კარიერაზე დადებითად აისახება. უახლოეს მომავალში ისევ ვაპირებ პრაღაში დაბრუნებას და მაგისტრატურის აქ გავლას".

**კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და საინჟინრო საქმის ფაკულტეტი**

## კიბერ პრივატულობა



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინოვაციების ლაბორატორიის ორგანიზებით, კიბერ უსაფრთხოების შესახებ საჯარო ლექცია გაიმართება, რომლის ფარგლებშიც, სტუდენტებს საშუალება მიეცათ მიეღოთ დეტალური ინფორმაცია კიბერ სივრცეში პირადი ინფორმაციის დაცვის შესახებ. საუბარი შეეხო, ასევე, კიბერ საფრთხეებს და აღინიშნა, რომ ვირტუალური სივრცე ისეთივე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს უსაფრთხოების საკითხებში, როგორც სხვა თავდაცვითი მექანიზმები.

შეხვედრას უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემიის დირექტორი და ინსტრუქტორ-ანალიტიკოსი კიბერ უსაფრთხოების საკითხებში ლაშა პატარაია გაუძღვა.

## ბრაგანცას პოლიტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლები IBSU-ში



21-22 აპრილს, კომპიუტერული ტექნოლოგიების და საინჟინრო საქმის ფაკულტეტისა და ინოვაციების ლაბორატორიის ორგანიზებით, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს ბრაგანცას პოლიტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლები ეწვივნენ.

ვიზიტის ფარგლებში 21 აპრილს, პარალელური გამოთვლების შესახებ სემინარი გაიმართა.

შეხვედრას პორტუგალიის ბრაგანცას პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ხოსე კარლოს რუფინო ამარო გაუძღვა. სპიკერმა პარალელური გამოთვლების რაობაზე და მათი გამოვიყენების მეთოდებზე ისაუბრა.

სტუმარმა სტუდენტების შეკითხვებსაც უპასუხა და პრაქტიკული რჩევები მისცა.

ვიზიტის ფარგლებში, მორიგ შეხვედრას პორტუგალიის ბრაგანცას პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ტექნოლოგიისა და მერნეჯმენტის სკოლის ვიცე-დეკანი მარია ვარანდა პერეირა გაუძღვა.

მან ბრაგანცას უნივერსიტეტის, ტექნოლოგიის სკოლისა და გაცვლითი პროგრამის (ICM) შესახებ ისაუბრა.

## დასაქმების გამოფენა




შზსუ-ში DAAD-ის "უნივერსიტეტისა და ბიზნესის პარტნიორობა" პროგრამის ფარგლებში დასაქმების გამოფენა გაიმართა. პროგრამა მიზნად ისახავს ცოდნის გაცვლას და მჭიდრო კავშირების დამყარებას კურსდამთავრებულთა და ბიზნეს კომპანიების წარმომადგენლებს შორის.

ღონისძიებაზე მონაწილეობა მიიღეს გოეთეს ინსტიტუტმა, საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, "ორიენტ ლოჯიქმა" და სხვა კომპანიებმა.

სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის გერმანიიდან DAAD-ის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ

# სტუდენტური კლუბები - სტუდენტთა მრავალფეროვანი ცხოვრება

*აქტივობების დაიჯესტი*

## შეხვედრა დეივ ბლოსთან და ნინო ბაქრაძესთან



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში გაიმართა შხვედრა რეგიონალური პროექტ „ორგანიზებული კრიმინალი და კორუფციის კვლევის“ სამხრეთ კავკასიის რეგიონულ რედაქტორ დეივ ბლოსთან და რეპორტიორ ნინო ბაქრაძესთან. შეხვედრის თემა იყო ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული სკანდალი „Panama Papers”.

„უსამართლოდ მეჩვენება ის, რომ სიტყვა „ოფშორი“ ცუდად ჟღერს, თუმცა ახლა ძნელად წარმომიდგენია მსოფლიოში რომელიმე პოლიტიკოსი, რომელსაც სურდეს, რომ მისი სახელი ოფშორთან იყოს დაკავშირებული“ -აღნიშნა დეივ ბლოსმა.

დეივ ბლოსმა და ნინო ბაქრაძემ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებს გაუზიარეს პანამის ქაღალდებთან დაკავშირებით თავიანთი სამუშაო გამოცდილება. ისინი არიან ერთ-ერთი იმ 350 ჟურნალისტს შორის, რომლებსაც დაევალათ ამ ინფორმაციის შენახვა, დამუშავება და შემდგომ გავრცელება. აღმოჩნდა, რომ პანამის დოკუმენტებში ამ დროისთვის 85 ქართველია მოხსენიებული.

შეხვედრაზე სტუდენტებმა საინტერსო კითხვები დასვეს, რომლებსაც სტუმრებმა უპასუხეს. ნინო ბაქრაძე ძალიან კმაყოფილი დარჩა სტუდენტებთან შეხვედრით და აღნიშნა, რომ პანამის დოკუმენტებზე ჟურნალისტური გამოძიება გრძელდება, სამუშაო ძალიან ბევრია და სერიოზულ დაკვირვებასაც მოითხოვს.

## „მდგრადი ეკონომიკური ზრდის საფუძვლები და ენერგოპოლიტიკა საქართველოში“



„მდგრადი ეკონომიკური ზრდის საფუძვლები და ენერგოპოლიტიკა საქართველოში“ - ამ თემაზე ბიზნეს კლუბმა საჯარო ლექცია ჩაატარა, რომელსაც საბროკერო კომპანია „საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი პლიუსის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დავით ასლანიშვილი უძღვებოდა. როგორც მან აღნიშნა, სტუდენტების მიზანს უნდა წარმოადგენდეს ნაკლები თანხის გასვლა ქვეყნიდან და საქართველოს ეკონომიკის წინსვლა. ლექციის მსვლელობისას დავითმა ისაუბრა საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობასა და სტუნდების ჩართულობაზე. „სტუდენტების ჩართულობა მდგრად ეკონომიკურ ზრდასა და ენერგოპოლიტიკაში აუცილებელია, პირველ რიგში, კი სტაჟირების კუთხით.“ - დავით ასლანიშვილი.

შეხვედრამ კითხვა-პასუხის რეჟიმში ჩაიარა, სტუდენტ დავით ახალაიას თქმით შეხვედრა შეეხებოდა სწორედ იმ თემებს, რომლებიც სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანია. „საუბარი შეეხებოდა ქვეყანაში ჰიდროელექტრო რესურსების გამოყენებას. მიუხედავათ საზოაგადოების პროტესტისა, მნიშვნელოვანია ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, რადგანაც ქვეყანა აქედან უდიდეს შემოსავალს მიიღებს“.- დავით ახალაია

## „სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები“



„სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები“ - ამ თემაზე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში საჯარო ლექცია გაიმართა, რომელსაც „კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის“ ხელმძღვანელი, ავთანდილ დემეტრაშვილი, უძღვებოდა. შეხვედრა „ახალგაზრდა იურისტთა კლუბის“ ორგანიზებით მოეწყო, თუმცა შეხვედრას, გარდა იურისტებისა, სხვა პროფესიის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ლექციაზე დავითმა განიხილა კონსტიტუციის განვითარების ისტორია. ასევე, დისკუსია შეეხებოდა ეკლესიისა და ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულებას. „ამგვარი ლექციები კარგი პრაქტიკაა თქვენთვის, როგორც მომავალი ჟურნალისტებისთვის, ასევე ჩემთვის, როგორც კონსტიტუციონალისტისთვის. ლექციაზე წამოიჭრა ისეთი საკითხები, რომლებზეც აქამდე არ მიფიქრია“. - ამბობს ავთანდილ დემეტრაშვილი. როგორც აღმოჩნდა ეს მისთვის პირველი არაფორმალური შეხვედრაა.

ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორისა და „ახალგაზრდა იურისტთა კლუბის“ პრეზიდენტის, მარიამ ჩორგოლაშვილის, თქმით, შეხვედრა აქტუალურ თემებს შეეხებოდა, ამიტომაც საინტერესოდ ჩაიარა, - „სახელმწიფოსა და ეკლესიის როლის გამიჯვნა ერთ-ერთი ყველაზე საკამათო საკითხია, არამარტო 1995 წლის კონსტიტუციიდან გამომდინარე, არამედ 1921 წლიდან. ზოგადად, ასეთი შეხვედრები ხელს უწყობს სტუდენტებს ცოდნის ღრმავებასა და გამოცდილების მიღებაში“.

## შეხვედრა ნიკოლოზ ნახუცრიშვილთან



„ირანში ცხოვრება არაა მხოლოდ ჩადრით სიარული, იქ ცხოვრება ორმაგად ჩქეფს და არ ჩამორჩება სხვა ქვეყნებს“, განაცხადა ირანში საქართველოს ყოფილი ელჩის მრჩეველმა, ნიკოლოზ ნახუცრიშვილმა.

საჯარო ლექცია თემაზე ''ირანის როლი ახლო აღმოსავლეთში და საქართველო-ირანის ურთიერთობები'' 4 აპრილს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში გაიმართა. აღნიშნულ საკითხზე სტუმარმა ამომწურავად ისაუბრა და საქართველო ირანს შორის 25 წლიან დიპლომატიურ ურთიერთობაზე ისაუბრა.

''25 წელია რაც საქართველო-ირანს შორის დიპლომატიური ურთიერთობები არსებობს და ირანი დღესაც აღიარებს საქართველოს ტერტოროტიულ მთლიანობას''- განაცხადა ნიკოლოზ ნახუცრიშვილმა.

გარდა ამისა ნიკოლოზი ირანულ მედიასაც შეეხო და აღნიშნა, რომ ირანში საკმაოდ დაცულია ცენზურა. ლექციის მეორე ნაწილი კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

შეხვედრა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მომავალ ლიდერთა კლუბის“ ინიციატივით გაიმართა. როგორც ორგანიზატორმა საუბრისას გვითხრა, ამ თემაზე საჯარო ლექციის ჩატარება სტუდენტებში მაღალმა ინტერესმა გამოიწვია.

## „თავისუფლება და სასჯელი“



„თავისუფლება და სასჯელი“ ამ თემაზე სასაუბროდ შზსუ-ს მწერალი, დრამატურგი ლაშა ბუღაძე, ფსიქოლოგი ნათია ფანჯიკიძე და მწერალი ერეკლე დეისაძე ესტუმრნენ.

რა იწვევს აგრესიას საზოგადოებაში? რა ღირს ჩვენი თავისუფლება? კითხვები, რომლებიც დღეს ადამიანებს უჩნდებათ უმეტესწილად პასუხგაუცემელი რჩება. დღეს თავისუფლების გაგება მხოლოდ ინდივიდუალური პერსპექტივაა და სოციუმი თავისუფლებას თანდაყოლილ სასჯელს უფარდებს.

აღნიშნული თემა მოწვეულმა სტუმრებმა მაქსიმალურად გაშალაეს. საჯარო ლექციის ფარგლებში სტუდენტებმა წამოჭრეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა მედიის თავისუფლება და უფროსი თაობის გავლენა უმცროს თაობაზე.

ლაშა ბუღაძის თქმით, მედია არასდროს ყოფილა თავისუფალი და არც იქნება. უფროსების გავლენაზე კი ერეკლე დეისაძემ ისაუბრა და აღნიშნა, რომ ყველამ უნდა აკეთოს ის რაც მას თვითონ სურს, ამიტომ ის არ აღიარებს უფროსი თაობის გავლენას ახალ თაობაზე. ღონისძიება შზსუ-ს „მკითხველთა კლუბის“ ორგანიზებით გაიმართა.

# საჯარო ლექციები შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში

*საჯარო შეხვედრების მიმოხილვა*

## ლევან გიგინეიშვილი - "პლატონიზმი და ქრისტიანობა"

„პლატონიზმი და ქრისტიანობა: რთული "ქორწინება" - ამ თემაზე წაიკითხა ფილოლოგმა ლევან გიგინეიშვილმა საჯარო ლექცია 10 მაისს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში.



სტუმარმა ლექციაზე რომის იმპერიაში ქრისტიანობის გავრცელებაზე ,პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიური სისტემების სინთეზზე "შუა პლატონიზმზე " და "ნეოპლატონიზმზე " და ამ პოლემიკაში ორივე მხარის ,ქრისტიანებისა და პლატონისტების ჩართულობაზე ისაუბრა

„ძალიან საინტერესო აუდიტორია იყო . კმაყოფილი დავრჩი კითხვებით ,რომლებიც დამეხმარა ისეთ თემებზე მესაუბრა,რაც ჩემთვისაც საკვლევია და არ არის დადგენილი ზუსტი პასუხები . აუდიტორიასთან საკმაოდ ცოცხალი საუბარი შედგა,რასაც არ ველოდი ,რადგან სპეციფიურ და ვიწრო თემატიკის საკითხებზე ვისაუბრე. აღმოჩნდა ,რომ მსმენელმა ბევრი რამე უკვე იცოდა ",- განაცხადა ლევან გიგინეიშვილმა "მედიაკლუბთან" საუბრისას .

დამსწრე სტუდენტებმა აღნიშნეს ,რომ ლექცია შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი იყო, სტუმარმა გამოკვეთა მათთვის საინტერესო აქცენტები და ახალი რაკურსიდან დაანახა მათ პლატონიზმისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობების მსგავსებები და განსხვავებები.

## ქეთევან ქარდავა - „ჟურნალისტი ტერაქტის ეპიცენტრში"



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტმა ქეთევან ქარდავამ საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე: "ჟურნალისტი ტერაქტის ეპიცენტრში".

შეგახსენებთ,რომ 2016 წლის 22 მარტს,ბრიუსელის აეროპორტში,მომხდარ ტერორისტული აქტის თვითმხილველი სწორედ ქეთევან ქარდავა იყო. ცხელი წერტილიდან პირველი ფოტოებიც მის მიერ გავრცელდა, რამაც შემდგომ მსოფლიოს წამყვანიი მედია საშუალებები მოიცვა.

სტუდენტებთან შეხვედრისას,ქეთევან ქარდავამ შემთხვევის დეტალებზე ისაუბრა და მომავალ ჟურნალისტებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარა. ამასთან, იმ პროფესიულ თვისებებზე გაამახვლა ყურადღება, რომელიც მსგავს კრიტიკულ სიტუაციებშია საჭირო.

შეხვედრამ კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, სტუდენტებმა მათთვის საინტერესო კითხვებზე მიიღეს პასუხები.



## გიორგი ბაქრაძე სტუდენტებთან

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მრჩეველმა და ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის (აშშ) დოქტორანტმა ეკონომიკის დარგში გიორგი ბაქრაძემ საჯარო ლექცია გაიმართა.

სტუდენტებთან შეხვედრისას, IBSU-ს მოწვეულმა ლექტორმა, ეკონომიკის არსი მიმოიხილა, ასევე, შეეხო თანამედროვე ეკონომიკის გამოწვევებს. გიორგი ბაქრაძემ სტუდენტების შეკითხვებსაც უპასუხა.

## "გენდერი და საზოგადოება"



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში თავდაცვის სამინისტროს მიერ დაგეგმილი გენდერის კვირეულის ფარგლებში საჯარო ლექცია-დისკუსია გაიმართა თემაზე: "გენდერი და საზოგადოება". სტუდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია იმ სტრატეგიის შესახებ,რომელსაც სამინისტრო ამ მიმართულებით ატარებს. როგორც ლექციაზე აღინიშნა,გენდერის თემის წამოწევა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტთაგანია და ამ მიმართულებით არაერთი პროექტი განხორციელდა.

სტუდენტებს, რომლებიც ლექცია-დისკუსიას დაესწრნენ, გადაეცემათ თავდაცვის სამინისტროს მიერ დაწესებული სერტიფიკატი.

ღონისძიების სპიკერები იყვნენ: ელენე რუსეტსკაია- ქალთა საინფორმაციო ცენტრი, ნინი ბაქრაძე - ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი,მაკა პეტრიაშვილი - ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, მაკო ავალიანი - საქართველოს თავდაცვის აკადემიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.



## გაზეთ რეზონანსთან მემორანდუმი გაფორმდა

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და გაზეთ "რეზონანს" შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმი ხელს შეუწყობს IBSU-ს ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების გაზეთში სტაჟირებას და მათ პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართვას.

# რატი ამაღლობელი - ევროპაზე, საქართველოსა და ხელოვანის ხვედრზე

*გვანცა ნადიბაიძე*
*თაკო მაჭმუდოვი*



“ევროპა და საქართველო - ღირებულებების კავშირი“ ამ თემაზე ისაუბრა ცნობილმა ქართველმა პოეტმა რატი ამაღლობელმა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში 17 მარტს.

რამდენად არის საქართველო ევროპული ოჯახის წევრი, ჩვენი კულტურა როგორ, ანდა საერთოდ ასახავს კი დასავლურ ღირებულებებს? სტუმრის თქმით ქართულ ლიტერატურას შეუძლია მსოფლიოს კულტურა კიდევ უფრო გაამდიდროს და მეტად საინტერესო გახადოს. ამ კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობა გამომსვლელმა “ვეფხისტყაოსანს” მიანიჭა. ლექციისას იგი ხანგრძლივად შეჩერდა ქრისტიანობაზე და აღნიშნა, რომ ევროპის განვითარება დაკავშირებულია ქრისიტიანული რელიგიასთან. „მედიაკლუბს“ საშუალება ჰქონდა ლექციის დამთავრების შემდეგ სტუმრისთვის რამენიმე კითხვა დაესვა:

**- რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურას ევროპასთან ინტეგრაციის პროცესში და რასთან ასოცირდება ზოგადად ქართველებისთვის ევროპა?**

ვფიქრობ, რომ ჩვენი კულტურა, ჩვენი თვითმყოფადობა შენარჩუნებული და განვითარებული იქნება ევროპასთან ინტეგრაციის პროცესში. ძალიან მნიშვენლოვანია შევინარჩუნოთ ჩვენი ევროპული არჩევანი და ბოლომდე განვახორციელოთ იგი. ქართველებისთვის ევროპა არის და უნდა იყოს განათლება, საკუთარი პროფესიაში განვითარება, წინსვლა, კეთილდღეობა..

**- რამდენად იზღუდება საქართველოში ხელოვანი ადამიანებისთვის აზრის გამოხატვა?**

საზოგადოებაში არიან ადამიანები,რომლებიც ხელოვნების ზოგიერთი წარმომდგენლის ნაწარმოებებს აპროტესტენს. თუმცა მთავარი ისაა, რომ სახელმწიფო არ ზღუდავს ხელოვანის თავისუფლებას ჩვენ ქვეყანაში.

არსებობს ორი ტიპის შეზღუდვა, როცა ხელოვნების ამა თუ იმ დარგის წარმომადგენელს სახელმწიფო ზღუდავს, რაც საბჭოთა კავშირიში ხდებოდა, სადაც არ ბეჭდავდნენ ხელისუფლებისათვის არასასურველი ავტორების ნაწერებს, ეს ზოგადად ტოტალიტარული სახემწიფოებისათვის ჩვეული სიმპტომია. მეორე სახის შეზღუდვაა, როდესაც კონკრეტული ადამიანები გიპირისპირდებიან და ასეთები სულ არსებობდნენ. ისინი საფრთხეს უქმნიან,რა თქმა უნდა,ხელოვანის თავისუფლებას.

**- რამდენად ამართლებთ ხელოვანი ადამიანის პოლიტიკაში წასვლას?**

მე არ ვამართლებ. მაგრამ ესეც ინდივიდუალურია. ძალიან ძნელია იყო ხელოვანი და, მაგალითად ,იყო მინისტრი. რა თქმა უნდა, ყველა ადამიანს აქვს თავისი პოლიტიკური პოზიცია, თუმცა იყო ხელოვანთან და ამავდროულად იყო საჯარო მოხელეც - არ არის იოლი. თუმცა, ეს ყველა ადამიანის ინდივიდუალური დილემაა, ზოგი შეიძლება უმკალვდება კიდეც.

# “კავკასია გზაჯვარედინზე: რეგიონული სტაბილურობის გამოწვევები“

*გვანცა ნადიბაიძე*



სტუდენტური კონფერენცია “კავკასია გზაჯვარედინზე: რეგიონული სტაბილურობის გამოწვევები“ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში 2016 წლის 11 ივნისს გაიმართა. კონფერენცია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი ღონისძიება იყო და მასში მონაწილეობდნენ შზსუ-სა და თსუ-ს სტუდენტები.

კონფერენცია უკვე მე-4 წელია ტარდება და მისი მიზანია სტუდენტებს თანამედროვე სამყაროში წარმატებული საქმიანობისთვის საჭირო უნარების განვითარებისთვის შესაბამისი შესაძლებლობები შესთავაზოს. როგორც შზსუ-ს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ბაია ივანეიშვილმა გვითხრა, კონფერენციის სახელი ”კავკასია გზაჯვარედინზე: რეგიონული სტაბილურობის გამოწვევები“ შემთხვევითი არ არის და მიზნად ისახავს რეგიონში არსებული პრობლემების გაანალიზებას:

„ჩვენი მიზანი იყო შეგვერჩია სათაური, რომელიც ფაკულტეტზე არსებული სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს თანაბრად მისცემდა მონაწილეობის შესაძლებლობას. აღნიშნული სათაური შესაძლებლობას იძლევა რეგიონის წინაშე არსებული გამოწვევები გაანალიზებულ იქნას ფაკულტეტზე არსებული ყველა მიმართულების ჭრილში. შესაბამისად, სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე, კონფერენცია მოიცავდა ისეთ პანელებს, როგორიცაა კავკასია და ზესახელმწიფოების ინტერესთა კონფლიქტი - რეგიონული უსაფრთხოების გამოწვევები (საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტებისთვის); საჯარო სექტორის რეფორმირება: საერთაშორისო გამოცდილება და არსებული გამოწვევები (საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მართვის და ა.შ.“ განაცხადა „მედიაკლუბთან“ საუბრისას ბაია ივანეიშვილმა.

გახსნის ცერემონიალის შემდეგ კონფერენციის მუშაობა სასესიო სხდომებზე გაგრძელდა. სულ წარმოდგენილი იყო 5 სექცია, რომლის ფარგლებშიც მოხსენებები წარადგინეს როგორც შავი ზღვის საერთაშორისო, ისე - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტებმა. კონფერენციაში მოანწილეობას იღებდა 50-მდე სტუდენტი და სულ წარმოდგენილი იქნა 34 ნაშრომი.

კონფერენციის მსვლელობას თვალს ადევნებდნენ აკადემიური კომისიის წევრები შესაბამისი დისციპლინებიდან, რომელთა შეფასების საფუძველზე თითოეულ სესიაში გამოვლინდა გამარჯვებული ნაშრომის ავტორი. აკადემიური კომისია დაკომპლექტებული იყო ხუთივე ზემოთ ჩამოთვლილი პანელის მიმართულებით, შზსუ-სა და თსუ-ში მოღვაწე დარგის წამყვანი სპეციალისტებით.

„აკადემიური კომისიის წევრებს წინასწარ ჰქონდათ გადაგზავნილი კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც უნდა შეეფასებინათ ერთი მხრივ წერილობითი ნაშრომები,მეორე მხრივ ზეპირი პრეზენტაციები. ამ კრიტერიუმების მიხედვით ფასდებოდა კონტაქტი აუდიტორიასთან, ასევე, თემის აქტუალობა, კვლევის მეთოდოლოგია და ა.შ. გამარჯვებულები საბოლოოდ გამოვლინდა ხუთ სხვადასხვა სექციაში. ჩვენი უნივერსიტეტის მხრიდან უნდა გამოვარჩიო ტიმოთი ოლუბუსოიე, რომელმაც 2 სხვადასხვა თემა წარადგინა ამ კონფერენციაზე საერთაშორისო ურთიერთობების სესიაში და საკმაოდ წარმატებულადაც. ასევე, პაატა სებისკვერაძე ეკონომიკის სექციიდან, რომელმაც საკმაოდ მაღალი შეფასება დაიმსახურა აკადემიური კომისიისგან, რომლის წევრებიც საკმაოდ სერიოზული ადამიანები იყვნენ, როგორებიც არიან რომან გოცირიძე, აზერ დილანჩიევი - ჩვენი პროგრამის კოორდინატორი, რამაზ გერლიანი - ეკონომიკის მინისტრის მოადგილე და ა.შ.“ გვითხრა კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ნინო სამხარაძემ.

კონფერენცია ერთდღიანი იყო და საბოლოოდ თითოეულ სექციაში თითო გამარჯვებული გამოვლინდა. გამარჯვებულებს გარდა სერტიფიკატებისა პრიზებად გადაეცათ „თბილისი მოლის“ 100 ლარიანი სასაჩუქრე ვაუჩერი, რომლის მიხედვითაც მათ შეუძიათ „თბილისი მოლის“ ნებისმიერ მაღაზიაში ისარგებლონ.

ჟურნალისტიკისა და საჯარო ადმინისტრირების სექციის გამარჯვებული გახდა სალომე აჩბა, რომელიც თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მაგისტრანტია. მისი ნაშრომი იყო „ისლამთან დაკავშირებული თემატიკა ქართული ბეჭდურ და სატელევიზიო მედიაში“. მისმა ნაშრომმა მოწონება დაიმსახურა როგორც აკადემიური კომისიის წევრებისგან, ასევე მონაწილე სტუდენტებისგან:

„თემის შერჩევას სუბიექტური და ობიექტური მიზეზები ჰქონდა. სუბიექტური მიზეზია ის, რომ მაქვს საკითხის მიმართ დიდი ინტერესი, აქტიურ ჟურნალისტიკაში მუშაობისას ჩემი ძირითადი ინტერესის სფერო სწორედ რელიგიური უმცირესობები იყენე. რაც შეეხება ობიექტურ მიზეზებს,მუსლიმი თემი მართლამდიდებლების შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანი რელიგიური ჯგუფია ქვეყანაში, მათ მიმართ არაეთხელ გვინახავს საზოგადოების ნაწილის მხრიდან გამოვლენილი შეუწყნარებლობა. მედიას სხვადასხვა ჯგუფის ინტეგრაციაში დიდი როლი აქვს, სწორედ ამიტომ გადავწყვიტე დავკვირვებოდი როგორ შუქდება თემი ჩვენს მედიაში.რაც შეეხება კონფერენციას, საკმაოდ საინტერესო გამოცდილება იყო ჩემთვის. მივიღე ბევრი




საინტერესო რჩევა კომისიის წევრებისგან, ასევე, ძალიან საინტერესო იყო სხვა მონაწილეების პრეზენტაციების მოსმენაც.“ - გვითხრა სალომე აჩბამ ჩვენთან საუბრისას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა ზურაბ დავითაშვილმა „მედიაკლუბთან“ საუბრისას განაცხადა: „ჩვენი მიზანია სტუდენტებს უფრო სიღრმისეული წარმოდგენა შევუქმნათ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ეთნიკურ-რელიგიური პრობლემებზე. სწორედ ეს პრობლემები უქმნის მთავარ საფრთხეს სტაბილურობას კავკასიაში. კონფერენციის აკადემიური მხარე საკმაოდ მაღალია და დარწმუნებული ვარ, რომ თანამშრომლობა გაგრძელდება და უფრო ინტენსიური გახდება”.

# გასვლითი ლექცია კახეთში

*გვანცა ნადიბაიძე*



სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების მე-2 კურსის სტუდენტები კახეთს ესტუმრნენ. გასვლითი ლექცია „საერთაშორისო ჟურნალისტიკის ისტორიის“ ლექტორის, ამავდროულად თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის თანამშრომლის ნელი ცქიტიშვილის ინიციატივით შედგა.

ექსკურსიის ფარგლებში მათ სიღნაღი, წინანდალი, თელავი, იყალთო და ალავერდი მოინახულეს. გიდობა სტუდენტებს თავად ლექტორმა გაუწია, რომელიც ამავე კუთხის წარმომადგენელია.

„მიმაჩნია, რომ ჟურნალისტმა უნდა იცოდეს საკუთარი ქვეყნის ისტორია, იცნობდეს კულტურულ მემკვიდრეობას და თანამედროვეობას. ამიტომ პირველივე კურსიდან ვურჩევ ყველა სტუდნეტს, არ დაკარგონ დრო და მოიარონ საქართველოს ყველა კუთხე. სწორედ ამიტომ სასწავლო კომპონენტში ჩავსვი და დავარქვი გასვლითი სემინარი იყალთოს აკადემიაში. ეს იყო მრავალფეროვნებით დატვირთული დღე - ამაღლებული, ხალისიანი, ერთად ყოფნის სიხარულით სავსე. გარდა იყალთოსი, ვიყავით წინანდალში, ალავერდში, ბოლოს კი, თელავის ქუჩებში გავისეირნეთ, ნადიკვრიდან გადმოვხედეთ ალაზნის ველის და კავკასიონის დიდებულ ხედებს“, განაცხადა „მედიაკლუბთან“ საუბრისას ნელი ცქიტიშვილმა.

ნელი ცქიტიშვილი სამი სემესტრის განმავლობაში ასწავლიდა მე-3 კურსის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებს და როგორც თავად ლექტორი ამბობს, სტუდენტებთან განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს:

„ჩვენ პირველ კურსზე, პირველივე პროფესიული სასწავლო კურსის - მასკომუნიკაციის და ჟურნალისტიკის შესავალი - გავლისას შევხვდით ერთმანეთს, შემდეგ იყო - ბეჭდური მედია, ბოლოს კი, საერთაშორისო ჟურნალისტიკის ისტორია. ამით ვემშვიდობები ამ ჯგუფს, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის სპეციალობის პირველ ჯგუფს, რომლებიც ჩემთვისაც მუდამ პირველები იქნებიან. პირველი კი, ყოველთვის განსაკუთრებულია, არასდროს გავიწყებს თავს. თანაც, მინდა აღვნიშნო, რომ თითოეული მათგანი საოცრად მოტივირებული, პროფესიული ინტერესის მქონეა. მე ვუთხარი მათ და კვლავ გავიმეორებ - ყოველთვის მივადევნებ თვალს თქვენს საქმიანობას - ტელესიუჟეტებს, პუბლიკაციებს, ყოველთვის ვიქნები თქვენი გულშემატკივარი და გამახარებს წარმატებები, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, უფრო ხშირად იქნება, ვიდრე იმედგაცრუება.“

სტუდენტების უმრავლესობას ნანახი ჰქონდა კახეთის ღირშესანიშნაობები, თუმცა მათთვის ეს დღე გამორჩეულად დასამახსოვრებელი აღმოჩნდა.

„მიუხედავად იმისა, რომ კახეთში უამრვჯერ ვარ ნამყოფი, ეს ექსკურსია ნამდვილად გამორჩეული იყო. პირველ რიგში იმით, რომ ჩვენმა უსაყვარლესმა ლექტორმა გვიმასპინძლა.”, გვითხრა „მედიაკლუბთან“ საუბრისას ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტმა ლიკა ქსოვრელმა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ნელი ცქიტიშვილის ბოლო სალექციო კურსი იყო მე-3 კურსის ჟურნალისტებთან,როგორც თავად ამბობს,მომავალში აუცილებლად განაგრძობს მათთან პროფესიულ კავშირს.



# გაცვლითი პროგრამები და კავშირები წარმატებულ კომპანიებთან

## ბიზნესის მართვის ფაკულტეტზე გაზაფხულის სემესტრი მრავალფეროვანი ღონისძიებებით გამოირჩეოდა



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის ფაკულტეტი ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი და მუდმივად განვითარებადი ფაკულტეტია. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ერთობლივი ძალისხმევით მიმდინარე სემესტრი საშემოდგომო სემესტრის მსგავსად საგანმანათლებლო კუთხით საკმაოდ ნაყოფიერი და სიახლეებით დატვირთული იყო.

ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ მაკა ბუღულაშვილმა "მედიაკლუბთან" საუბრისას განაცხადა: „წლევანდელი წელი იყო ძალიან აქტიური განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ფაკულტეტის წარმატებულ კომპანიებთან თანამშრობლობა სემინარებისა და საჯარო გამოსვლების სახით, მომავალში ვაპირებთ გავაგრძელოთ კრეატიული ბიზნესპროექტები, ჩვენი მთავარი საზრუნავი სასწავლო პროგრამების გაგრძელება, განვითარება და ახალი სასარგებლო იდეების განხორციელებაა, ჩვენ ერთ-ერთ ძლიერ მხარეს გაცვლითი პროგრამები წარმოადგენს".

საგაზაფხულო სემესტრში წარმატებით განხორციელდა ვიშეგრადის ფონდის გრანტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები, კერძოდ აღნიშნული პროექტის შესაბამისად გახსნილი ახალი სასწავლო კურსის ''ევროინტეგრაცია და ფინანსური ბაზრის რეფორმები ვიშეგრადის ქვეყნებში" ფარგლებში ფაკულტეტმა საერთაშორისო საბანკო ინსტიტუტის (ITCB) ვიცე-პრეზიდენტს, უნგრელ პროფესორს, ქ-ნ ერიკა მარსს და კოზმინისკის უნივერსიტეტიდან პოლონელ პროფესორს, ბ-ნ პაველ მიელკარზს უმასპინძლა. პროფესორებმა საჯარო ლექცია ჩაატარეს აღნიშნული კურსის სტუდენტებთან, შეხვდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და განიხილეს თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები ერთობლივი და ორმაგი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის კუთხით.

აღსანიშნავია ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და წარმატებული სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, სემინარებში, კვირეულებში და სხვადსხვა მნიშვნელოვან პროექტებში. ფაკულტეტის ფინანსების მიმართულების მე-4 კურსის სტუდენტმა გიორგი გოგოჭურმა მონაწილეობა მიიღო აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთ პრესტიჟულ ფინანსირ კონკურსში „Finance Challenge", სადაც მსოფლიოს მასშტაბით მონაწილე 300 გუნდიდან მე-4 ადგილი დაიკავა.

ფაკულტეტის საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის კუთხით მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა "ერასმუს+" პროგრამის ფარგლებში ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის თეა კბილცეცხლაშვილის ვიზიტი ლიტვაში, შაულიაის უნივერსიტეტში, სადაც 14 ქვეყნის 20 წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო მე-11 საერთაშორისო კვირეულში. თეა კბილცეცხლაშვილმა წაიკითხა ლექციები სოციალური, ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე და შეხვდა ფაკულტეტის წარმომადგენლებს, სადაც დაიგეგმა კვლევების განხორციელება, სტუდენტურ პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილეობა.

აზიის განვითარების ბანკის მიერ სომხეთის ქალაქ დილიჟანში ორგანიზებულ ვორქშოპში „კარგი სამუშაო ადგილები ინკლუზიური ზრდისათვის ცენტრალურ და დასავლეთ აზიაში" აქტიურად იყო ჩართული ბიზნესის მართვის ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი ლალი გიგაური, ხოლო ამავე ფაკულტეტის საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორმა სოფიო ხუნდაძემ მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ბანკის ფინასნური ანგარიშგების რეფორმების ცენტრის (CFRR) მიერ ორგანიზებული პროექტის „აუდიტისა და ანგარიშგების განვითარება აღმოსავლური პარტნიორობის ქვეყნებში" ფარგლებში ბაქოსა და კიევში გამართულ სემინარებსა და მასტერკლასებში.

საგაზაფხულო სემესტრში ფაკულტეტის წარმომადგენლები საქმიანი ვიზიტით სტუმრობდნენ ბაქოს ქავქაზის უნივერსიტეტს. ორივე უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ერთმანეთს გაუზიარეს საკუთარი გამოცდილებები, დაისახა სამომავლო თანამშრომლობის გეგმები, ვიზიტის დასასრულს კი დეკანის მოადგილემ მაკა ბუღულაშვილიმა "ქავქაზის უნივერსიტეტის" ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ჩაატარა საჯარო ლექცია.

ფაკულტეტი გამოირჩევა მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების სიმრავლით, მათგან საგაზაფხულო სემესტრში 21 სტუდენტს მიეცა საშუალება გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სწავლა გაეგრძელებინათ ევროპისა და აზიის პარტნიორ უნივერსიტეტებში.

ბიზნესის მართვის ფაკულტეტი აქტიურად თანამშრომლობს წარმატებულ კომპანიებთან. ეს თანამშრომლობა ხელს უწყობს სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების დაახლოვებას საბაზრო მოთხოვნებთან და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალ მაჩვენებელს. სწორედ აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში საგაზაფხულო სემესტრში ჩატარდა საჯარო ლექციები და მასტერკლასები სტუდენტებისათვის. მათ შორის აღსანიშნავია ბიზნესის მართვის ფაკულტეტსა და სს "ალიანს ჯგუფი ჰოლდინგს" შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც კომპანია უზრუნველყოფს სტაჟირებას. გარდა ამისა, დაწესებულია ფულადი პრიზი სასწავლო კურსის „ბიზნეს ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობები"-ში მაღალი შედეგის მქონე სტუდენტებისთვის. ამასთანავე აღნიშნული კომპანიის გენერალურმა დირექტორის აიეტ კუკავამ ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე: ''ბიზნეს ეთიკის როლი თანამედროვე მსოფლიოში სს "ალიანს ჯგუფ ჰოლდინგის" მაგალითზე". ამავე მემორანდუმის ფარგლებში ჩატარდა მეორე საჯარო ლექცია ლიზინგის თემაზე, რომელიც "ალიანს ჯგუფი ჰოლდინგის" ლიზინგის სამსახურის უფროსმა გვანცა გვიჩიამ ჩაატარა.

საგაზაფხოლო სემესტრში ჩატარებულ საჯარო ლექციებს შორის მაღალი დონით და პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა ეკონომიკის დოქტორის, საბროკერო კომპანია ''საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი პლიუსის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის დავით ასლანიშვილს ლექცია თემაზე: ''მდგრადი ეკონომიკური ზრდის საფუძვლები და ენერგოპოლიტიკა ".

განსაკუთრებით შედეგიანი იყო ბიზნესის მართვის ფაკულტეტისა და ბიზნეს კლუბის ორგანიზებით ჩატარებული საერთო ღონისძიებები. მათ შორის, სტუდენტური კონფერენცია-კონკურსი „კრეატიული აზროვნება ბიზნესში" და საჯარო ლექციები თემაზე „მინერალური რესურსების მენეჯმენტის ზოგადი საკითხები", რომელიც ჩაატარა "სან პეტროლიუმ ჯორჯიას" გენერალურმა დირექტორმა გიორგი დევაძემ და „ლიდერობა" რომელიც ინტერაქტიურ რეჟიმში ჩაატარა საერთაშორსო სავაჭრო პალატის გენერალურმა დირექტორმა ფადი ასლიმ.

სემესტრის მიწურულისთვის საგან „საცალო ვაჭრობის " ფარგლებში, საგნის ლექტორის ლიკა ოხანაშვილის და სტუდენტების ორგანიზებით ჩატარდა ღონისძიება თემაზე „წარმატებული ბიზნესისათვის", სადაც 14 წარმატებული კომპანიის მმართველი გუნდის წარმომადგენლებმა მასტერკლასები ჩაატარეს სტუდენტებისთვის.

აღსანიშნავია ბიზნესის მართვის ფაკულტეტის ერთ-ერთი წარმატებული პროექტის „ბიზნესის ანბანი"-ს პროდუქტიული მუშაობა სხვადასხვა სკოლებში. ეს პროექტი სემესტრიდან სემესტრამდე იხვეწება და მასშტაბურ ხასიათს იღებს. საგაზაფხულო სემესტრში აღნიშნული პროექტის სამუშაო ენას ქართულთან ერთად დაემატა რუსული, ასევე პროექტმა მიიღო რეგიონალური ხასიათი და მოიცვა ბორჯომის, ქუთაისის და ბათმის სკოლები. სემესტრის ბოლოს კი იგეგმება გადამზადებული სტაჟიორების ტრენერებად კურთხევის ცერემონიალი. ამას ემატება კიდევ ერთი ინოვაციური პროექტი „romecoming", რომლის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა ბიზნესის მართვის კურსდამთავრებულებთან კომპანია FRIXX-ის ბრენდ ლიდერთან მარიამ გაბათაშვილთან და ანა შახნაზაროვასთან, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის შესყიდვებისა და ლოჯისტიკის კოორდინატორთან საქართველოში.




# „თანამედროვე მედიასაშუალებები, მედია, როგორც რბილი ძალის კომპონენტი“

თამარ გეგენავა



ნატოს კვირეული საქართველოში წელს მეცხრედ ჩატარდა. ღონისძიება სსიპ "ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის" ორგანიზებით, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, თავდაცვის სამინისტროს, საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისისა და რუმინეთის საელჩოს მხარდაჭერით განხორციელდა. ნატოს კვირეულის ფარგლებში უამრავი ღონისძიებაა ჩანიშნული, რომელსაც შეუერთდნენ თბილისის სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლები.

5 აპრილს ნატოს კვირეულის ფარგლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივესიტეტში ნატოსა და ევროკავშირის აუდიტორია გაიხსნა. აუდიტორიის გახსნას ნატოს საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებიც ესწრებოდნენ. მათ შორის იყვნენ შავი ზღვის საერთაშორისო უნივესიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის პროგრამის სტუდენტებიც.

ღონისძიების ფარგლებში სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის ჟურნალსიტიკისა და სახალხო დიპლომატიის, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორის ფილიპ სეიბის საჯარო ლექცია გაიმართა თემაზე : „თანამედროვე მედიასაშუალებები, მედია, როგორც რბილი ძალის კომპონენტი". ლექციამ ინტერაქტიულ რეჟიმში ჩაიარა, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა პროფესორებს შეკითხვები დაუსვეს მედიის თავისუფლებასა და ტერორიზმის საფრთხეებზე.

პროფესორმა ისაუბრა მსოფლიო ლიდერების ვალდებულებაზე აღსანიშნავია, რომ ფილიპ სეიბი მნიშვნელოვნად მიიჩნევდა თითოეული სახელმწიფოს მონაწილეობას ტერორიზმის საფრთხისაგან დასაცავად. ლექციის ფარგლებში სტუდენტები დაინტერესდნენ საერთაშორისო სტანდარტებით, რომელთა დაცვა ჟურნალისტის მოვალეობაა, „მედიის თავისუფლება არის დემოკრატიული სახელმწიფოს გარანტი", აღნიშნა ფილიპ სეიბმა.

როგორც ფილიპ სეიბმა ლექციის ბოლოს განაცხადა, ის მოხიბლული და კმაყოფილი იყო ქართველი სტუდენტების აქტიურობით. „ეს იყო დასამახსოვრებელი და საინტერესო, სტუდენტები მართლაც შესანიშნავები არიან". თავის მხრივ,სტუდენტებმა საჯარო ლექცია დადებითად შეაფასეს. „ერთმნიშვნელოვნად ეს არის კარგი გამოცდილება თითოეული ჩვენგანისთვის" - აღნიშნა შზსუ-ს ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტმა სალომე მოისწრაფიშვილმა.

# სამაგისტრო და სადოქტორო სწავლების ინსტიტუტთან “ექსპერტთა ცენტრი” ამოქმედდება

თამუნა გრიგალაშვილი



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში არსებული სამაგისტრო და სადოქტორო ინსტიტუტი დაარსების დღიდან მუდმივი განვითარების პროცესშია. ინსტიტუტში ამჟამად ფუნქციონირებს 19 სამაგისტრო და 6 სადოქტორო პროგრამა. მაგისტრანტები და დოქტორანტები სალექციო კურსებს გადიან მაღალი კვალიფიკაციის ქართველ და უცხოელ პროფესორებთან . უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე, სტუდენტები გაცვლით პროგრამებშიც მონაწილეობენ .

2016 წლის ივლისის თვეში, ამსტერდამის უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, სამაგისტრო და სადოქტორო სწავლების ინსტიტუტის რამდენიმე სტუდენტი ამსტერდამის თემატურ საზაფხულო სკოლაში მიემგზავრება.

ბაკალავრიატის სტუდენტებს, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ სამაგისტრო საფეხური შზსუში გაიარონ, ინსტიტუტი იმითი ეხმარება, რომ ინგლისურსა და ზოგად უნარებში მოსამზადებელი კურსის გავლის საშუალებას უნივერსიტეტშივე აძლევს. გარდა ამისა, იმ სტუდენტებს, რომლებსაც სამაგისტრო პროგრამის გავლის სურვილი აქვთ, ივნისში იმიტირებული გამოცდა ჩაუტარდათ. სტუდენტები, რომლებიც იმიტირებულ გამოცდებში 51 ქულა, ან მეტი აიღეს, ჩაირიცხნენ სამაგისტრო პროგრამებზე და საჩუქრად სწავლის საფასურის 25%-იანი ფასდაკლება მიიღეს. მათ, ვინც იმიტირებულ გამოცდაში მონაწილეობა ვერ მიიღო, თუმცა 29 აგვისტოდან 8 სექტემბრამდე დარეგისტრირდა, უნივერსიტეტმა 20%იანი ფასდაკლება შესთავაზა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ წელს სადოქტორო და სამაგისტრო სწავლების ინსტიტუტი ძალიან ბევრ უცხოელ სტუდენტს ელოდება.

უახლოეს წარსულში განხორციელებული მრავალი ღონისძიებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია იტალიელი პროფესორის ანდრეა ბორონის ვიზიტი. მან საერთაშორისო კომერციული სამართლის პროგრამის სტუდენტების მასტერკლასი ჩაუტარა.

## “ზევრი კითხვა, შრომა და საკუთარ თავზე მუშაობა - მომავალი ჟურნალისტებისათვის წარმატების საწინდარია“

*ანი თეთრუაშვილი, მარიამ ხულიაშვილი, ნინა ლორთქიფანიძე*



“პალიტრა მედიის” ხელმძღვანელმა და გაზეთ “კვირის პალიტრის” მთავარმა რედაქტორმა გიორგი თევდორაშვილმა 21 აპრილს ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე “მედიამენეჯმენტის გამოწვევები”. შეხვედრისას ხელი მოეწერა მემორანდუმს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და ჰოლდინგ “პალიტრა მედიას” შორის. „შეხვედრა საინტერესო იყო,ჩვენთვის მნიშვნელოვანია მოწინავე უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა. მეგონა უფრო ფართო აუდიტორია იქნებოდა, მაგრამ შეკითხვები იმდენად კარგი და შინაარსიანი იყო, რომ ალბათ ასეთ ფორმატში ჯობდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შევძლებდით ამომწურავი პასუხების გაცემას“ განაცხადა გიორგი თევდორაშვილმა. მან ასევე აღნიშნა, რომ მემორანდუმის ფარგლებში სტუდენტები შეძლებენ მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება და განვითარდნენ პროფესიულად. ლექციაზე ასევე ითქვა, რომ „პალიტრა მედიის“ სლოგანია „ინფორმაცია- ცხოვრებისთვის“. ჟურნალისტისთვის აუცილებელია თავისუფლება და მიუკერძოებლობა, შესაძლებელია ბევრი ისწავლო შენი დამქირავებლისგან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საკუთარი აზრი არ გაგაჩნდეს. ჩვენ ასევე ვესაუბრეთ ჟურნალისტიკის პროგრამის კოორდინატორს ექრემ დინდაროლს, რომელმაც თქვა, რომ ასეთი შეხვედრები ძალიან მნიშვნელოვანია რადგან სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა თეორიულ სწავლასთან ერთად მიიღონ პრაქტიკული გამოცდილებაც.

## „კარგი ჟურნალისტი არის ის ვინც მაყურებელს უტოვებს არჩევანის საშუალებას“



14 აპრილს, ხელი მოეწერა მემორანდუმს გაზეთ Prime-Time-სა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს შორის.

გაზეთის მთავარმა რედაქტორმა თამარ ფხაკაძემ წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე “ჟურნალისტის ოსტატობა”.

„შეხვედრით კმაყოფილი ვარ. სტუდენტებთან შედგა დიალოგი, საინტერესო კითხვებიც დაისვა. სრულიად მოტივირებული ვარ სტუდენტებს საკუთარი გამოცდილება გავუზიარო“ - აღნიშნა თამარ ფხაკაძემ - „ჟურნალისტიკა არის ის სფერო, რომელიც თქვენმა თაობამ უნდა შეცვალოს, მომავალმა ჟურნალისტებმა უნდა დაიწყოთ ახალი ფურცლიდან“. ჩვენს კითხვაზე თუ როგორი უნდა იყოს კარგი ჟურნალისტი ასეთი პასუხი მივიღეთ: „კარგი ჟურნალისტი არის ის ვინც მაყურებელს უტოვებს არჩევანის საშუალებას“.

ჟურნალისტიკის პროგრამის კოორდინატორი ექრემ დინდაროლის თქმით, ეს მემორანდუმი საკმაოდ მნიშვნელოვანი გადადგმული ნაბიჯია უნივერსიტეტისთვის, რადგან სტუდენტებმა თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული გამოცდილებაც უნდა შეიძინონ.

# დიანა მჭედლიშვილი - ადამიანი, რომელიც სწავლის ხარისხს ზედამხედველობს

### “სტუდენტის წარმატება - უნივერსიტეტის წარმატებაა, თქვენ გარეშე შედეგი, უბრალოდ, არ არსებობს“

*ნინო ღაჟონია, ლელა გულბანი*

2013 წელი იყო, როდესაც შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი გახდა. „იმ პერიოდში ჩემი მეუღლე თბილისში მუშაობდა, მე - თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ძალიან მინდოდა დედაქალაქში სამსახურის დაწყება.“ გაგიკვირდებათ, მაგრამ დიანა მჭედლიშვილმა, რომელიც უკვე მეოთხე წელია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ხელმძღვანელობს, უნივერსიტეტეში არსებული ვაკანსიის შესახებ ვაკანსიების ცნობილი საიტიდან jobs.ge-დან შეიტყო. ამ ეპიზოდს ახლა ღიმილით და ამავდროულად სიამაყით იხსენებს. ახსოვს, რომ გასაუბრებაზე მოსულს მეგობრული და კეთილგანწყობლი გარემო დახვდა: „კომისიაში იყვნენ ამაჟამინდელი პრორექტორი ქალბატონი ნათელა დოლონაძე და კანცლერი, რესულ დიქმენი.“ გასაუბრების შემდეგ კი მაშინდელ რექტორთან შეხვედრამ წარმატებით ჩაიარა. ასე დაიკავა უნივერსიტეტში ძალიან საპასუხისმგებლო თანამდებობა.



დიანა მჭედლიშვილი თელავში დაიბადა და გაიზარდა. ამბობს, რომ მორცხვი და თავშეკავებული, მაგრამ კომუნიკაბელური ბავშვი იყო. თელავის რუსული სკოლა დაამთავრა და ამ გადმოსახედიდან შეუძლია თქვას, რომ სკოლაში საფუძვლიანი და ხარისხიანი განათლება მისცეს. „მასწავლიდნენ ძლიერი პედაგოგები, ძალიან მოწესრიგებული სისტემა იყო. ხარისხიანი განათლების მიღება შეიძლებოდა”.

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი გამორჩეული ინტერესის გამო სწავლა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მათემატიკის განხრით გააგრძელა. „არ მინდოდა მასწავლებლობა, ჩემი მომავალი ექიმის ამპლუაში წარმომედგინა“. როგორც თავად ამბობს, თელავში დარჩენა სწორი გადაწყვეტილება იყო. მშობლიური ქალაქის სიყვარულმა სამსახურიც იმავე უნივერსიტეტში დააწყებინა, ამავდროულად თბილისში ასპირანტურაშიც ჩააბარა. 1995 წლიდან კითხულობდა ლექციებს. დაიცვა სადოქტორო ხარისხი ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში. შემდგომ, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორის შტატიც დაიკავა.

ეტაპობრივად განვითარდა მისი კარიერა ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებითაც. 2007 წლიდან თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამასახურის უფროსი იყო: „ეს იყო ახალი გამოწვევა, მეც ახალგაზრდა ვიყავი და, ამის გამო არა მხოლოდ როგორც აკადემიური, არამედ ადმინისტრაციული ფუნქციის აღების არ შემშინებია“. ადმინისტრაციულ ფუნქციასაც იოლად გაუმკლავდა. ისე რომ, ორი წლის შედეგ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობა დაიკავა. მისი თქმით, შემოთავაზებაზე დათანხმება გაუჭირდა, რადგან თვლიდა, რომ ძალიან საპასუხისმგებლო საქმე იყო და რექტორთან შეთანხმებით ორი თვით დროებით დარჩა თანამდებობაზე. ბოლოს მიხვდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების ზედამხედველობა და ზოგადად ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საქმიანობა მართლაც საინტერესო იყო, თუმცა ძალიან შრომატევადი. დღეს უკვე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მუშაობს - განათლების ხარისხის უზრუნველყოფაზე ზრუნვა, უნივერსიტეტის ავტორიზაცია და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია და მათთან დაკავშირებული პროცესები, ეს მისი მთავარი საქმიანობაა.

დიანა მჭედლიშვილმა არსებულ პროგრამებზე და შზსუ-ს მთავარ ღირსებებზე ისაუბრა: „უნივერსიტეტში სულ 49 პროგრამა გვაქვს. 23 საბაკალავრო, 19 სამაგისტრო, 6 სადოქტორო და ერთიც მასწავლებელთა მომზადების ერთ წლიანი პროგრამა“. საბაკალავრო პროგრამიდან სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე ისწავლონ.

“თქვენი პოტენციალი მაქსიმალურად გამოიყენეთ, აითვისეთ ის, რასაც გთავაზობთ ჩვენი უმაღლესი სასწავლებელი. უნივერსიტეტის წარმატების მთავარი მაჩვენებელი სტუდენტები არიან. სტუდენტის წარმატება ეს - უნივერსიტეტის წარმატებაა, თქვენ გარეშე შედეგი, უბრალოდ, არ არსებობს“, გვითხრა ქ-მა დიანამ. ამბობს, რომ ძალიან უყვარს საკუთარი სამსახური - “ერთი დიდი ოჯახია”. მისი თქმით, შზსუ გამორჩეულია იმითაც, რომ აქ ბევრი უცხოეული სტუდენტი სწავლობს. “გვაქვს ხელსაყრელი და სასიამოვნო გარემო და კარგი ინფრასტრუქტურა. სტუდენტს ხარისხიანი განათლების მიღების გარდა, უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ და დაფინანსებულ ბევრ სოციალურ აქტივობაშიც შეუძლია ჩართვა. საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებენ მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები, გამოცდილი პრაქტიკოსები. მოქმედებს დაფინანსებისა და სწავლის საფასურის გადახდის შეღავათიანი სისტემა. წარჩინებული სტუდენტები სტიპენდიებს იღებენ. ყველაფერი სტუდენტების წახალისებისა და სტიმულირებისათვის კეთდება. ბოლო პერიოდში დანერგილმა წახალისების სისტემამ საგრძნობლად გაზარდა სტუდენტთა რაოდენობა, მათ შორის მრავლადაა ოქროს და ვერცხლის მედალოსანი სტუდენტები. სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე სწავლებასა და კვლევაში აქტიურად არიან ჩართულნი უცხოელი პროფესორები. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ღიაა სტუდენტებთან თანამშრომლობისთვის. შემუშავებულია ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის ურთიერთობის მოქნილი მექანიზმი. მაქსიმალურად ვითვალისწინებთ სტუდენტების აზრს. კურსადმთავრებულების წარმატებით დასაქმების მაჩვენებელი დიდია.” ჩვენ ტრადიციულ კითხვაზე, თუ რა არის განათლება, ასე გვიპასუხა: „განთლება ეს არის ის, რაც ცხოვრებში წარმატების მიღწევის აუცილებელი პირობაა“.

# სტუდენტები არამარტო სწავლაში, არამედ ხელოვნებაშიც იხარჯებიან

*თაკო მაჭმუდოვი*



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი სწავლასთან ერთად სტუდენტებს შემოქმედებითი ნიჭის რეალიზაციის საშუალებას აძლევს. ამჯერად ორ სტუდენტს თორნიკე აბრამიშვილსა და ვიქტორია ბუხალცევას გაგაცნობთ. თორნიკე მღერის, ვიქტორია კი - ხატავს.

თორნიკე აბრამიშვილი: „სამი წლიდან მოყოლებული ვმღერი. ჯერ სიმღერა დავიწყე და მერე აღმოვაჩინე, რომ თურმე ვმღეროდი, შეიძლება ითქვას, სიმღერამ აღმომაჩინა. რამდენიმე წელი ვფიქრობდი, მიმეღო მონაწილეობა სხვადასხვა კონკურსში. საკონკურსო ტელეპროექტ „Voice“-ში მონაწილეობა სპონტანურად მივიღე, ჯერ დედაჩემმა მითხრა კონკურსი ტარდებაო და შემდეგ მეგობრებმა მირჩიეს, რომ გავსულიყავი. მეგობარმა გოგონამაც მითხრა, სცადე, იქნებ, გაიმარჯვოო.

პროექტში მონაწილეობა კარგადაც მახსენდება და ცუდადაც იმიტომ, რომ უნივერსიტეტში, სწავლაში შემექმნა პრობლემები. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ბევრი გაცდენა დამიგროვდა. პროექტში მონაწილე მუსიკოსებს უმძიმესი გრაფიკი გვქონდა, ზოგჯერ ღამის სამ საათზეც ვრჩებოდით რეპეტიციას, ამის გამო სწავლას ველარ ვახერხებდი

პროექტ “Voice”-მა უდიდესი გამოცდილება შემძინა. პროექტის დატოვება რომ მომიხდა, მერე მივხდი და დღითი დღე უფრო ვრწმუნდები, რომ პროექტამდე საერთოდ არაფერი ვიყავი და არაფერი ვიცოდი.

ცხოვრების ამ ეტაპზე ჩემთვის მთავარია მუსიკა და უნივერსიტეტი. სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამაზე ვსწავლობ. ორი პროფესია მაქვს - მუსიკაცა და საერთაშორისო ურთეორთობები.

მუსიკალურ კარიერას ჯგუფ “სეპტეტში” ვაგრძელებ. ჩვენ ეთნო ჯაზში ვუკრავთ. ვთვლი, რომ პერსპექტიული ჯგუფი ვართ, სამომავლო გეგმებიც შევიმუშავეთ.”

ვიქტორია ბუხალცევა სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სწავლობს. თორნიკეს მსგავსად, პროფესიად მანაც საერთაშორისო ურთიერთობები აირჩია. ვიქტორია ხატავს და ამბობს, რომ ხატვა მისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი პროცესია.

„ძალიან პატარა ვიყავი, ხატვა რომ დავიწყე. მამაჩემი იხსენებს, რომ რაღაც ფიგურები დამიხატავს, ალბათ, კარგად დავხატე, რადგან ამის მერე უყიდია ჩემთვის ფლომასტერები. ჩემს მშობლებს ჩემი ყველა ნახატი შენახული აქვთ - პატარა კაცუნიებით დაწყებული და დღევანდელი ნამუშევრებით დასრულებული.

კონკრეტული სტილი არ მაქვს, მე შეიძლება რომელიმე მხატვრის სტილი მომეწონოს და მივბაძო რაღაცით, შემიძლია ანიმაციის სტილში ვხატო. ამ მხრი, თავს არ ვიზღუდავ”.

ვიქტორიას საყვარელი ფერი, იისფერია. თუმცა, ამ ფერს იშვიათად იყენებს, რადგან სვა ფერებთან იისფერის შეხამება იოლი არა. “ალბათ, ამიტომაც არის საყვარელი ფერი.საკმაოდ ადეკვატური დამოკიდებულება მაქვს კრიტიკასთან, მომწონს როდესაც მაკრიტიკებენ და რჩევას მაძლევენ. ჩემი აზრით, ეს მომავალში უკეთესად ხატვაში შემიწყობს ხელს. „

მრავლმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული სტუდენტები შავი ზღვის უნივერსიტეტს სხვაც ბევრი ჰყავს. მათ შესახებ გაზეთის მომდევნო ნომრებშიც გიამბობთ.



# “რობოტ კლუბის” მიღწევები და სამომავლო პროექტები

## შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროექტმა თურქეთის უნივერსიტეტში გამართულ შეჯიბრზე მესამე ადგილი მოიპოვა

*მარიამ ხულიაშვილი*




შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გუნდმა გაიმარჯვა ინოვაციური ტექნოლოგიების ფესტივალში, რომელიც თურქეთში, ქარაბუქის უნივერსიტეტში 2016 წლის აპრილში გაიმართა, ფესტივალმა, რომელიც მესამე წელია იმართება, ტრადიციულ ხასიათი შეიძინა.

კონკურსზე პროექტი წარადგინა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის “რობოტ კლუბის” პრეზიდენტმა და ინოვაციური ტექნოლოგიების ცენტრის ხელმძღვანელმა გიორგი უსანეთაშვილმა. მისი ხელმძღვანელობით უნივერსიტეტის გუნდმა შექმნა რადიაციული რადარი, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება.

მის წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს ე.წ გამწოვი, მაგრამ მას არ ჰქონდა რადარის ფუნქცია. მსოფლიოში პირველად ეს ჩვენმა უნივერსიტეტმა წარადგინა და ფინალში გადავედით კატეგორიაში “თავისუფალი გამოგონებები”, ამ კატეგორიის 30 მონაწილიდან ფინალში მხოლოდ 8 გადავიდა. საბოლოოდ 8 ფინალისტიდან პირველი გამარჯვებული სამეული გამოვლინდა, მათ შორის იყო შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გუნდიც, რომელმაც მე-3 ადგილი მოიპოვა. გიორგი უსანეთაშვილის ნამუშევარმა მოიპოვა პროტასის თასი, რობოტის გონიერი სენსორი და 1000 თურქული ლირა საჩუქრად.

ყველაზე საინტერესო, ალბათ, ის არის, თუ კონკრეტულად რაში მდგომარეობს რადიაციული რადარის უნიკალურობა. ტერორიზმმა ძალიან საშიში სახე მიიღო დღესდღეობით. გიორგიმ გაიხსენა რუსეთ- საქართველოს ომი და აღნიშნა, რომ ამ მოვლენის შემდეგ რადიაციამ ბევრი მოქალაქის სიცოცხლე იმსხვერპლა. დღეს ომი მიმდინარეობს ქიმიური და რადიაციული დაბინძურებების გზით, რაც ძალიან საშიშია. ბრძოლის ამ მეთოდებმა შეიძლება უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწიროს. გიორგი უსანეთაშვილის შექმნილ რადარს შეუძლია წამიერად დააფიქსიროს საფრთხის შემცველი ნივთიერება, რადგან მას აქვს უნიკალური, მგრძნობიარე სენსორები, ასევე გვაცნობებს იმ ადამიანის შესახებ, ვინც გადაადგილდება სიცოცლისათვის საშიში, ქიმიური ნივთიერებით.

“პროექტის იდეა თემის სიმწვავიდან გამომდინარე გაჩნდა, უამრავ ადამიანს ექმნება ჯანმრთელობის პრობლემა მაღალი რადიაციული დასხივების გამო. ვფიქრობთ, რომ გარემოსდამცველი და მსგავსი ორგანიზაციების ინტერესს გამოიწვევს რადარი. მომავალში იგეგმება მისი როგორც ფუნქციონალური გაუმჯობესება, მიმდინარეობს ასევე დიზაინზე მუშაობაც”, ამბობს ერთ-ერთი ავტორი დავით გოგიტიძე.

ეს რადარები უნდა დაიდგას ხალხმრავალ ადგილებში, აეროპორტებში, მეტროში და ა.შ ეს დაიცავს საზოგადოებას და ხელს შეუშლის ტერორიზმს. გიორგიმ აღნიშნა ისიც, რომ, სამწუხაროდ, საქართველოში ვერც კი მიხვდნენ, თუ რა მიზანს ემსახურებოდა და რა ფუნქცია ჰქონდა ამ გამოგონებას.

“რადარის შესაფუთად გამოყენებული გვაქვს კანალიზაციის მილი , ზოგი მხოლოდ ამას ამჩნევს და იმის იქით არც კი აინტერესებს, თუ რა ფუნქცია აქვს ამ დანადგარს “, განაცხადა გიორგი უსანეთაშვილმა.

თურქეთში კი, სულ სხვა სიტუაცია დახვდათ, როგორც აღმოჩნდა, ქარბუქის უნივერსიტეტის რექტორი ამ საკითხში ღრმად იყო ჩახედული და მიხვდა, თუ რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა ამ გამოგონებას. როგორც უსანეთაშვილი ამბობს, თურქეთში მისი რადარი სადოქტორო ნამუშევრად აღიარეს. რექტორმა მას და მისი გუნდის წევრებს შესთავაზა დაეხმარონ ქარბუქის უნივერსიტეტის სტუნდეტებს მსგავსი პროექტების განხორციელებაში.

“რობოტ კლუბში” ამჟამად მუშაობენ დამლაგებელ რობოტზე. ამის გარდა კიდევ ბევრი ახალი პროექტი იგეგმება, რომელთა შორის აღსანიშნავია სმენადაქვეითებულ ბავშვებთან ერთად სპეციალური ეტლის შექმნა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისათვის განკუთვნილი ეს სპეციალური ეტლი აქამდე არსებული ეტლებისგან განსხვავებული იმით იქნება, რომ დაემორჩილება ხმას, გადაადგილდება ხმის საშუალებით.

ეს კარგი იდეაა რადგან გადაადგილების უნარის შეზღუდულ ზოგ ადამიანს ხანდახან ხელის განძრევაც კი უჭირს. ეს ეტლი იმუშავებს სენსორებზე და მოძრაობისას შეცდომებს თითქმის გამორიცხავს. ასევე ეტლი დაკავშირებულია სასწრაფო დახმარებასთან და უკიდურეს შემთხვევაში ღილაკზე ხელის დაჭერით კოორდინატები ავტომატურად გადაიცემა. გიორგიმ გვითხრა, რომ ეს პროექტი მისთვის ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია. სმენადაქვეითებულ ბავშვებთან მუშაობა უდიდეს ბედნიერებად მიაჩნია. ამ საქმეში ის მთელი შემართებით და მონდომებით არის ჩართული. სექტემბრიდან გიორგი უსანეთაშვილი ენთუზიაზმის მქონე სტუდენტებთან ერთად უამრავ სიახლეს გვპირდება.




# ზურა ხაბაზი-მოცურავე, რომელმაც არაღიარებული რეკორდი დაამყარა

*კესო მამფორია*



ზურა ხაბაზი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის ფაკულტეტის მენეჯმენტის მიმართულების მე-4 კურსის სტუდენტია. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სახელით მან მონაწილეობა უნივერსიადის ფარგლებში ცურვის ჩემპიონატში მიიღო და პირველი ადგილი მოიპოვა. „მედია კლუბი“ გამარჯვებულს გაესაუბრა და მისი სპორტული კარიერის შესახებ ესაუბრა.

**- რა მოლოდინები გქონდა უნივერსიადასთან დაკავშირებით ?**

მეგონა, რომ კონკურენცია არცთუ მაღალი იქნებოდა, რადგან 4 წლის მანძილზე ცურვის უნივერსიადა არ გამართულა. თუმცა, ჩემდა გასაკვირად, კონკურსში 30-მდე მონაწილე ასპარეზობდა და საინტერესო და მრავალფეროვანი შეჯიბრი გამოვიდა. მე პირადად მოხარული ვარ, რომ გავიმარჯვე და იმედი მაქვს, მსგავსი შეჯიბრებები მომავალ წელსაც გაგრძელდება და 4 წლიანი ჩავარდნები აღარ განმეორდება.

**- ეს შენი პირველი გამარჯვება არ ყოფილა, გაიხსენე კარიერის განმავლობაში რომელი მიღწევა იყო ყველაზე დასამახსოვრებელი?**

ჩემი კარიერის განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვანია საქართველოს რეკორდის დამყარება ზურგზე ცურვაში 50 მეტრის მანძილზე, ეს მანძილი 28.04 წამში დავფარე. თუმცა, ოფიციალურად ეს რეკორდად არ ჩაითვალა.

**- რა გახდა ამის მიზეზი ?**

ეს რეკორდად მხოლოდ იმის გამო არ ჩაითვალა, რომ საქართველოში არ გვქონდა სენსორული კედელი, რომელიც ხელის შეხებაზე აფიქსირებს დროს. ჩემი შედეგი კი, ხელის წამზომით იქნა დაფიქსირებული. მიუხედავად იმისა, რომ რეკორდი ოფიციალურად არ ჩაითვალა, იმ მომენტში ეს ჩემთვის ძალიან დიდი მიღწევა იყო .

**- გეგმავ, რომ სამომავლოდ სპორტის ამ სახეობას გაჰყვე?**

სწავლის გამო ამ სემესტრში აქტიურად ვარჯიში ვერ მოვახერხე. თუმცა, ზაფხულის შემდეგ ვაპირებ კვლავ დავუბრუნდე ვარჯიშს და გარკვეული მიზნის მიღწევის შემდეგ მშვიდად დავანებო თავი სპორტის ამ სახეობას.

**- მიზნის მიღწევაში რას გულისხმობ?**

ჩემი მიზანია, გარკვეული დროს დაძლევა და უფრო მოკლე დროში სტანდარტული მანძილების გაცურვა. რათქმაუნდა, ეს დრო საქართველოს ამჟამინდელ რეკორდზე რთული დასაძლევი იქნება.

# ბრაგანცას პოლიტიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლები IBSU-ს ეწვივნენ

## კომპიუტერული ტექნოლოგიების და ინჟინერიის ფაკულტეტზე არაერთი ღონისძიება გაიმართა

*გვანცა ნადიბაიძე*



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ტექნიკური ფაკულტეტის გაზაფხულის სემესტრი მრავლფეროვანი ღონისძიებებით დატვირთული აღმოჩნდა. IBSU-ს “მედია კლუბი” დაინტერესდა მათ მიერ განხორციელებული პროექტებით და რამდენიმეს შესახებ მოგითხრობთ კიდეც.

ტრენინგი “მობილური აპლიკაციის შესახებ” 23 თებერვალს დაიწყო და მოიცავდა, როგორც თეორიულ ლექციებს, ასევე პრაქტიკულ სამუშაოებს. კომპიუტერული ტექნოლოგიების და საინჟინრო საქმის ფაკულტეტის და ინოვაციების ლაბორატორიის ორგანიზებით, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს ბრაგანცას პოლიტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლები ეწვივნენ. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა სემინარი. შეხვედრას უძღვებოდა პორტუგალიის ბრაგანცას პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ხოსე კარლოს რუფინო ამარო. ასევე, ვიზიტის ფარგლებში, მორიგ შეხვედრას ბრაგანცას უნივერსიტეტის ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის ვიცე-დეკანი მარია ვარანდა პერეირა გაუძღვა.

უნივერსიტეტმა “საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლების და ინფორმატიკის ოლიმპიადების მხარდამჭერი ასოციაციის” ორგანიზებით გამართულ ეროვნულ დონეზე ინფორმატიკის ტურნირისთვის ნაკრების შესარჩევ ტურებს უმასპინძლა. ტურნირის ფარგლებში დაკომპლექტდა საქართველოს ეროვნული ნაკრები, რომელიც ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაზე გაემგზავრა.

გარდა ამისა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა ინფორმატიკაში საქართველოს მოსწავლეთა ზამთრის მესამე ოლიმპიადას უმასპინძლა. კომპიუტერული ტექნოლოგიების და ინჟინერიის ვიცე-დეკანი გიორგი მერებიშვილი უფრო დაწვრილებით გვესაუბრა ტექნიკური ფაკულტეტის აქტივობებზე. მან აღნიშნა, რომ ამ სემესტრში ფაკულტეტზე არაერთი ღონისძიება ჩატარდა.

„ჩვენს ფაკულტეტზე არსებობს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრი, რომლის მეშვეობითაც სხვადასხვა ტრენინგებს ვატარებთ. ამ სემესტრში ჩატარდა ვებგვერდის შექმნის ტრენინგი ,სადაც მონაწილეობა მიიღეს ჩვენმა სტუდენტებმა. მენტორები იყვნენ IBSU-ს სტუდენტები. მათ სკოლის მოსწავლეებს ვებ-გვერდის შექმნა ასწავლეს. მონაწილეები დავაჯილდოვეთ სერტიფიკატებით.

ამ ლაბორატორიაში ასევე ტარდება GITA-ს (საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს) ტრენინგები. ამ წელს ჩვენ უნივერსიტეტს, კერძოდ კი, ჩვენს ფაკულტეტს სტუმრობდნენ სტუმრები ბრაგანცის პოლიტექნიკური უნივერსიტეტიდან. ჩვენ სტუდენტებს წარუდგინეს მათი უნივერსიტეტი და არსებული დაფინანსებები. მათ ჩაატარეს ტრენინგი “პარალელურ გამოთვლებზე”, რაც ძალიან საინტერესო იყო და ბევრი სტუდნეტი ჩაერთო ამ ღონისძიებაში. ერთ-ერთ დიდი პროექტი, რომელიც ჩვენს ფაკულტეტზე ამ სემესტრში ჩატარდა, DAAD-ის პროექტია. DAAD ეს არის გერმანული ორგანიზაცია, რომელიც სტუდენტებისა და უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის ატარებს ტრენინგებს. ინფორმატიკის პროგრამის კოორდინატორი ლელა მირცხულავა ბრძანდებოდა DAAD-ის პროგრამის ფარგლებში გერმანიაში, სადაც მან ჩაატარა ლექციები. DAAD-დან კი ჩვენს უნივერსიტეტში იყვნენ წარმომადგენლები, რომლებმაც ჩაატარეს დასაქმების ფორუმი.




ამ სემესტრში შეხვედრა გვქონდა ჩვენს კურსდამთავრებულ სტუდენტებთან. ფაკულტეტზე ამ წელს ჩატარდა ორი შეასარჩევი ტური ოლიმპიადაში. ეს გახლდათ მესამე ოლიმპიადა ინფორმატიკაში. ჩვენს უნივერსიტეტში ჩატარდა ეროვნული ნაკრების შესარჩევი ტური ინფორმატიკაში. ამ წელს ჩვენს სხვადასხვა კომპანიებს ვეწვიეთ, კერძოდ, ვესტუმრეთ მინის მწარმოებელ ქარხანასდა ტექნოპარკს“.

სტუდენტები სწავლის პროცესის პარალელურად აწყობდნენ ექსკურსიებს. ძირითადად შემეცნებითი ხასიათის გასვლებს. ერთ-ერთი გასვლითი ტური საფარას მონასტერში, რაბათის ციხესა და საქართველოს ეროვნული ასტროფიზიკის ობსერვატორიაში განხორციელდა.



## ლევან ბიბილაშვილი - უნივერსიტეტის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი

*კესო მამფორია*



შიდა ლიგის მე-18 ტურში გუნდ "Gunners"-მა "Dynamite"-ს უმასპინძლა და (16:4) დაამარცხა. "Gunners"-ის ფეხბურთელმა, ლევან ბიბილაშვილმა 5 გოლი გაიტანა და 2014-2015 სეზონის ბომბარდირის, გუნდ "USB"-ის ფეხბურთელის, მიშა მეგრელიშვილის რეკორდი (98 გატანილი გოლი) გააუმჯობესა. ბიბილაშვილმა 20 მატჩში 105 გატანილი გოლი ჩაიწერა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ლიგის ყველა დროის ბომბარდირთა სიაში პირველ პოზიციაზე გადაინაცვლა.

სეზონის განმავლობაში "Gunners"-ის მე-7 ნომერი ლევან ბიბილაშვილი ბომბარდირების სიაში ერთპიროვნულად ლიდერობდა, საბოლოოდ კი , როგორც სეზონის, ისე უნივერსიტეტის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირად დასახელდა..

## ქუჩის კალათბურთის გამარჯვებული გუნდი "Street Fighter" გახდა

*კესო მამფორია*



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ქუჩის კალათბურთში მორიგი შიდა ჩემპიონატი გაიმართა. ჩემპიონატში სულ რვა სტუდენტური გუნდი ასპარეზობდა. ერთ-ერთი უდავო ფავორიტი, ოთხ გზის ჩემპიონი გუნდი "ITB" იყო, თუმცა გუნდი ჩემპიონატს ნახევარფინალურ ეტაპზე, "Street Fighter"-თან დამარცხების შემდეგ გამოეთიშა.

აღსანიშნავია გუნდი "WEB"-ის თამაში. ამ გუნდმა ჩემპიონატში მონაწილეობა პირველად მიიღო და საკმაოდ კარგი შედეგი დააფიქსირა. ჯგუფური ეტაპიდან გასვლის შემდეგ გუნდმა ნეხევარფინალში „რამე" დაამარცხა და ფინალში გავიდა.

საკმაოდ საინტერესო და დაძაბული აღმოჩნდა "WEB"-სა და "Street Fighter"-ს დაპირიპირება ფინალურ ეტაპზე. კალათბურთელების- მერმერის, იბრაგიმოვისა და ოზის სამეულმა ორქულიანი უპირატესობით მოწინაალმდეგე დაამარცხა და გამარჯვება მოიპოვა.

## ლაშა მაისურაძე - ფუტსალის უმაღლესი ლიგის 5 საუკეთესო ბომბარდირთა რიგებში

*კესო მამფორია*



საქართველოს ფუტსალის ლიგაში მე-7 ტურის მატჩებით რეგულარული ჩემპიონატი დასრულდა.

ბოლო მატჩში შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გუნდმა "სპარტაკს" უმასპინძლა და 9:6 დაამარცხა. გუნდის ფორვარდმა, ლაშა მაისურაძემ კი საკუთარ ანგარიშზე 4 გატანილი ბურთი ჩაიწერა და ტურის დასრულების შემდეგ მეშვიდე ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა.

"IBSU"-ს მე-10 ნომერი, 15 გატანილი ბურთით, ფუტსალის უმაღლესი ლიგის 5 საუკეთესო ბომბარდირთა სიაში ირიცხება.

## საფეხბურთო ლიგისა და თასის გამარჯვებული გუნდი "Gunners" გახდა

*კესო მამფორია*




შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საფეხბურთო ლიგის (IFL) 2015-2016 წლის ბოლო ტურში გუნდმა „Gunners"-მა დაძაბულ ბრძოლაში 7:2 დაამარცხა გუნდი „USB" და IFL ლიგის გამარჯვებულის ტიტულს მეორედ დაეუფლა.

აღნიშნული გამარჯვებით „Gunners"-მა წლევანდელ სეზონში რიგით მეორე საფეხბურთო ტიტული მოიპოვა. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საფეხბურთო ლიგის ფინალში გამარჯვების შემდეგ გუნდმა IBSU CUP მოიგო.

IFL ფეხბურთის ლიგის ფინალში შზსუს ვეტერანი გუნდები წარსდგნენ. მატჩი სწრაფი გოლით დაიწყო. "USB"-ს ფეხბურთელმა არიფ ორანმა წურწუმიას საგოლე გადაცემით მეტოქის კარი აიღო და გუნდი დააწინაურა. "Gunners"-მა წონასწორობის აღდგენა მხოლოდ მე-12 წუთზე ლევან ბიბილაშვილის გატანილი გოლით შეძლო. პირველი ნახევრის დარჩენილი დრო "Gunners"-ის უპირატესობით წარიმართა და ანგარიშით 2:1 დასრულდა. გუნდი ტალჰა ჩინარმა დააწინაურა, რომელმაც გოლი საჯარიმო დარტყმით გაიტანა.

მეორე ტაიმის სტარტზე ლევან ბიბილაშვილმა დუბლი შეასრულა და „Gunners" დაწინაურდა. „USB"-იმ არაერთი კონტრშეტევა წამოიწყო, თუმცა "Gunners"-ს მეკარე მბურაქ გურერმა ყველა დარტყმა მოიგერია. მატჩი "Gunners"-მა ხუთ ბურთიანი უპირატესობით მოიგო.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საფეხბურთო ლიგის დასრულების შემდეგ დაიწყო "შზსუს თასის" გათამაშება, რომელშიც ლიგის პიველ შვიდეულთან ერთად დამატებით ადმინისტრაციისაგან დაკომპლექტებული გუნდი ასპარეზობდა. დაძაბული მეოთხედფინალებისა და ნახევარფინალების შემდეგ ფინალურ ეტაპზე ერთმანეთს გუნდები "Gunners" და „Fenix" დაუპირისპირდნენ.

მატჩის დასაწყისშივე "Fenix"-ი მეტოქეზე, სამბურთიან უპირატესობას ფლობდა, ტაიმის მიწურულს "Gunners"-მა თამაში თავის სასარგებლოდ შემოატრიალა და 1 გოლით გაუსწრო მეტოქეს. თუმცა, "Fenix"-ის ფეხბურთელმა სანდრო ჩადუნელმა წონასწორობის აღდგენა მალევე მოახერხა.

მატჩის მეორე ტაიმი გუნდებმა უშეღავათო ბრძოლაში გაატარეს. ძირითადი დრო ფრედ 6:6 დასრულდა მსაჯის მიერ დანიშნულ პენალების სერიაში კი „Gunners" -მა ხუთივე დარტყმა წარმატებით შეასრულა. მატჩი ანგარიშით 11:9 დასრულდა. ჩემპიონი გუნდი „Gunners"-ი გახდა.

ამრიგად, IBSU-ს სუპერთასის მატჩში, რომელიც ახალი სეზონის დასაწყისში გაიმართება, ერთმანეთს ლიგის და თასის გამარჯვებული გუნდი "Gunners"-ი და ლიგის მეორეადგილოსანი გუნდი "USB" დაუპირისპირდებიან.

## შოთა არველაძე განათლებაზე, სპორტსა და ქველმოქმედებაზე საუბრობს

*კესო მამფორია*




საქართველოს ეროვნული ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი შოთა არველაძე ეწვია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს 2016 წლის 18 მაისს. სტუმარმა საკუთარი კარიერის მნიშვნელოვანი მომენტები გაიხსენა და საქართველოში ფეხბურთის განვითარების პერსპექტივაზე ისაუბრა.

შოთა არველაძემ საჯარო გამოსვლისას განსაკუთრებული აქცენტი ხარისხიან უმაღლეს განათლებაზე გააკეთა. "სწავლა ყველაზე დიდი და ეფექტური ინვესტიციაა", აღნიშნა სტუმარმა. მან სტუდენტებს არაერთი რჩევა მისცა - "დროის სწორად გამოყენება მომავალი წარმატების საწინდარია, სტუდენტობის პერიოდი არ უნდა დაკარგოთ და სასარგებლო ცოდნა დააგროვოთ", აღნიშნა არველაძემ. გთავაზობთ მცირე ინტერვიუს შოთა არველაძესთან

**- მსოფლიოში ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად ვინ მიგაჩნიათ**?

არგენტინის ნაკრების გულშემატკივარი ვარ და სულ ვთვლიდი, რომ მარადონა ყველა დროის საკუთესო ფეხბურთელია. შევხვდი კიდეც მას, მომწია მასთან თამაშიც. დღეს მოქმედ ფეხბურთელთაგან საუკეთესო არის მესსი, ნამდვილად გენიოსია.

**- ქართველ ბეხბურთელებს შორის ვის გამოარჩევდით?**

საქართველოში მე ვერ მოვესწარი მესხს. მგონია, რომ ის გენიალური ნიჭის მქონე, შემოქმედებითი ფეხბურთელი იყო. ასევე, დავით ყიფიანი. შემიძლია თავისუფლად ვთქვა, რომ ორივე მსოფილო დონის ფეხბურთელი იყო ყველაფრით - არტისტიზმით, ნიჭით, ხასიათით, ლიდერობით.

**- წარმატებული საფეხბურთო კარიერა გქონდათ. თითქმის ყველა ქვეყანაში დასახელდით ბომბარდირად, ჩემპიონი და არაერთი თასის მფლობელი გახდით. თუ გქონიათ მომენტები, რასაც დღევანდელი გადმოსახედიდან ნანობთ?**

მსგავსი მომენტები მქონია. თუნდაც 1996 წელს, როცა „ტრაბზონსპორ"-ში ვთამაშობდი, თურქეთის სუპერლიგის ბოლო ტურში "ფენერბაჰჩე"-მ მოგვიგო 1 ქულით და ვერ გავხდით ჩემპიონები. კარიერის ბოლოს კი ვითამაშე რიგით მე-13 თასის ფინალი და გამარჯვება ვერ მოვიპოვე.

**- საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ არაერთი თურქული გუნდის მწრთვნელი იყავით. თუ გიფიქრიათ, ან გქონიათ შემოთავაზება საქართველოს ნაკრების მწრთვნელი გახდეთ?**

ზუსტად 2-3 თვის წინ მქონდა შემოთავაზება საქართველოს ნაკრების მწრთვნელის პოსტი დამეკავებინა, მაგრამ უარი ვუთხარი.

**- რა გახდა უარის თქმის მიზეზი ?**

მიზეზი ბევრია, მაგრამ ძირითადად ორი მიზეზი იყო რის გამოც ვთქვი უარი, თუმცა ახლა ამ თემაზე საუბარი არ მსურს.

**- როგორც ვიცით თქვენს ძმებთან ერთად დააარსეთ საქველმოქმედო ფონდი „არველაძეების ფონიდი" გვესაუბრეთ ამის შესახებ.**

ფონდი 10 წლის წინ შევქმენით. ფონდის მიზანია დაეხმაროს 10-12 წლის ნიჭიერ ფეხბურთელებს, ვისაც არ აქვს საშუალება დაკავდეს პროფესიული ფეხბურთით, ანდა რაიონში ცხოვრობს და ვერ ახერხებს მანძილის გამო ფეხბურთზე სიარულს. გვყავს 10 სტიპენდიანტი, რომელსაც ვუფინანსებთ დაზღვევასა და სკოლაში სწავლას.

**- საიდან ფინანსდება ფონდი ?**

ფონდი შემოწირულობაზეა დაფუძნებული. რა თქმა უნდა, ჩვენც ვდებთ გარკვეულ თანხას. გარდა ამისა, ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია გვერდში დაუდგეს ფონდს და გადარიცხოს სიმბოლური თანხა 11 ლარი.



გაზეთზე იმუშავეს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა

გაზეთი ეკუთვნის შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს" ვრცელდება უფასოდ

+995 32 2595005
+995 32 2595008
contact@ibsu.edu.ge
ibsu.edu.ge

დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13კმ. 2
თბილისი, საქართველო
0131

IBSU MEDIA CLUB
IBSU MEDIA CLUB
#ibsumediaclub